

**სერგო ჯორბენაძე**

**ილია ჭავჭავაძე  
და ლიტერატურული  
საკუთრება**

მეორე გამოცემა

თბილისი  
2017

83.3Гр1-8 ჭავჭავაძე  
ჯ 711

ლიტერატურული საკუთრება ავტორის ქონებრივ და არაქონებრივ უფლება-მოვალეობათა ერთობლიობას ეწოდებოდა.

გამოკვლევაში განხილულია ილია ჭავჭავაძის – ავტორის, რედაქტორ-გამომცემლის თვალთ დაანახული ისეთი უფლებები, როგორცაა ჰონორარი, ფსევდონიმით ან ანონიმურად ნაწარმოების გამოქვეყნება, პირველგამოცემის უფლება, თარგმნის უფლება, ნაწარმოების ხელშეუხებლობა, აგრეთვე დიფამაციის საკითხი, სამწერლობო და ჟურნალისტურ მოღვაწეობაში პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვა.

წიგნი გამიზნულია სპეციალისტებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ სხვა მკითხველთათვის.

რედაქტორი                    პროფესორი სოლომონ ხუციშვილი  
რეცენზენტები:            პროფესორი გივი მიქაძე  
   დოცენტი ზურაბ ახვლედიანი

© ს. ჯორბენაძე 1987

4702170101  
D-----  
M 608 (06) 87

მეორე გამოცემის რედაქტორი

პროფესორი ნინო გვინეტიანი

მეორე გამოცემაზე მუშაობდნენ:

მანანა ვაზაგაშვილი

ხათუნა კობიაშვილი

სოფიო მამულაშვილი

მარიკა მაღალაშვილი

თინათინ ქოქრაშვილი

სანდრო ჯორჯენაძე

ISBN 978-9941-27-297-4

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2017

## მეორე გამოცემის რედაქტორისგან

დიდი ქართველი მწერლის, პუბლიცისტის, რედაქტორ-გამომცემლის, იურისტისა და ერისკაცის – ილია ჭავჭავაძის (1837-1907) დაბადებიდან 180 და გარდაცვალებიდან 110 წელი გავიდა.

ამ თარიღთან და ცნობილი ქართველი ცივილისტის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სულის ჩამდგმელისა და მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ სერგო ჯორბენაძის (1926-1998) დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით, გადავწყვიტეთ, ხელახლა გამოგვეცა წინამდებარე წიგნი.

პროფესორი სერგო ჯორბენაძე, მისთვის ჩვეული სტილით, დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით მოგვითხრობს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის იმ სფეროზე, რომელიც მის სარედაქციო საგამომცემლო საქმიანობასა და საავტორო უფლებებს შეეხება, მაშინდელი მწერლებისა და ლიტერატორების წუხილსა და სიდუხჭირეზე.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მეფის რუსეთის ცენზურას, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, შეევიწროებინა და ჩაეხშო თავისუფალი სიტყვა, ეროვნული ცნობიერება და ქვეყნის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა.

ილია ჭავჭავაძის დიდი ტკივილია ცენზურის არსებობა, მასთან ბრძოლას იგი, ერთი მხრივ, სიდარბაისლით, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი ბოხოქარი კალმით ცდილობდა. ცარიზმთან ამგვარი ბრძოლა ძალიან სახიფათო იყო, რადგან ცენზურა საკანონმდებლო დონეზე პოლიციური შინაარსის წესდებითა და სხვა აქტებით წესრიგდებოდა.

თანამედროვე ეპოქაშიც უმნიშვნელოვანესია ილია ჭავ-

ჭავჭავაძის შეხედულებები, მსჯელობები და დასკვნები ნანარ-  
მოების ავტორთა უფლებების დაცვის შესახებ.

ტერმინი „ლიტერატურული საკუთრება“ ამჟამად აღარ  
გამოიყენება, რადგან მასში შემავალი ქონებრივი და არა-  
ქონებრივი უფლებების დაცვა დღეს საავტორო სამართალ-  
მა ითავა.

ინტელექტუალური საკუთრების, კერძოდ კი, საავტო-  
რო სამართლის ძირითადი უფლებების რეალური დაცვა  
მსოფლიომ მე-19 საუკუნის ბოლოს მოახერხა, როდესაც  
1886 წელს ქ. ბერნში მიღებულ იქნა ლიტერატურისა და ხე-  
ლოვნების ნანარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია. ამ  
კონვენციას საქართველო 1994 წელს შეუერთდა.

პროფესორი სერგო ჯორბენაძე ნათლად წარმოაჩინს  
ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს იმ არაქონებრივ და ქონებ-  
რივ უფლებებთან დაკავშირებით, რომლებიც შემდგომ აი-  
სახა ბერნის კონვენციაში და, რაოდენ საამაყოა, რომ პრობ-  
ლემათა გადაჭრის ილიასეული გზა აღმოჩნდა სწორედ ის  
გზა, რომელსაც დღესაც მიჰყვება თანამედროვე მსოფლიო.

ჰონორარის მიღების უფლება მუდამ პრობლემატური  
იყო საქართველოში. ილია ჭავჭავაძეს არცერთ მის ნანარ-  
მოებში საავტორო ჰონორარი არ აუღია. მიუხედავად ამი-  
სა, იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ სხვებს მაინც მიეღო  
თუნდაც მცირე ანაზღაურება და ნიჭიერი ხალხის ყოფა შე-  
ემსუბუქებინა.

ილია ჭავჭავაძისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია თარ-  
გმნის საკითხები. იგი შეძლებისდაგვარად ცდილობს, ხელი  
შეუწყოს როგორც ქართულად ისე – ქართულიდან სხვა ენა-  
ზე თარგმნას, თუმცა მკაცრად აკრიტიკებს თარგმანის ხა-  
რისხს, განურჩევლად იმისა, თუ რომელი ცნობილი პიროვ-  
ნების მიერაა შესრულებული.

მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის შეხედულებები მთარ-

გმნელის, გადამმუშავებლის შემოქმედებითი თავისუფლების თაობაზე. იგი განასხვავებდა თარგმანს თავისუფალი თარგმანისაგან, გადმოკეთებისგან, მიბაძვისგან.

ილია ჭავჭავაძე თანამედროვედ მსჯელობს ფსევდონი-  
მითა და ანონიმით გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე. ბერ-  
ნის კონვენციითა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის კანონმდებ-  
ლობით დღეს მიღებულია ფსევდონიმითა და ანონიმით ნა-  
წარმოების გამოქვეყნება, თუმცა საცენზურო წესდების  
მუხლების შესაბამისად, ფსევდონიმისა და ანონიმის ქვეშ  
ამოფარებული ავტორის შესახებ სტამბას უნდა ეცნობები-  
ნა ცენზურისთვის, რაც ავტორის უცნობად დარჩენის არსს  
ენინაალმდეგებოდა.

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება საავტორო სა-  
მართლის უმაღლესი პრინციპების საფუძველია. ეს უფლე-  
ბა უფადო და განუსხვისებელია.

ილია ჭავჭავაძე დაულალავად იღვწოდა როგორც გარ-  
დაცვლილი, ისე ცოცხალი ავტორების ნაწარმოების ხელ-  
შეუხებლობის უფლების დაცვისთვის აგრეთვე, ფოლკლო-  
რის, ხალხური სიბრძნის, კერძო წერილების დასაცავად.  
სწორედ ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა პირველად ნიკოლოზ  
ბარათაშვილის კერძო წერილები უცვლელად, ყოველგვარი  
ჩასწორების გარეშე.

ილია ჭავჭავაძის დროს სხვისი ნაწარმოების უნებართვო  
გამოყენება ჩვეულებრივი ამბავი იყო. იგი ასეთ კონტრა-  
ფაქციას მიუღებლად მიიჩნევს, თუმცა, ილია ჭავჭავაძის  
მრავალი მოწოდების მიუხედავად, თუნდაც სამედიატორო  
სასამართლოსთვის მიემართა ნაწარმოების შემქმნელებს,  
შედეგი არ მოჰყოლია. გამომდინარე აქედან, ილია ჭავჭა-  
ვაძის მოღვაწეობის პერიოდში საავტორო სამართალში სა-  
სამართლო პრაქტიკა არ მოგვეპოვება.

ილია ჭავჭავაძისთვის პიროვნების პატივისა და ღირსე-

ბის დაცვა უმაღლესი სოციალური ღირებულებაა. იგი, როგორც რედაქტორ-გამომცემელი, მწერალი და პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, თავისი მოღვაწეობის მანძილზე განუხრელად იცავდა ამ პრინციპს.

პროფესორ სერგო ჯორბენაძის წიგნში სიღრმისეულადაა განხილული ილია ჭავჭავაძის შეხედულებები, მსჯელობები და დასკვნები, როგორც საავტორო პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებზე, ასევე, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე, რომლებიც (ცენზურის გარდა) მეტ-ნაკლებად დღესაც აქტუალურია.

პროფესორ სერგო ჯორბენაძის წიგნი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, დღესაც რაოდენ მნიშვნელოვანია ილიას, როგორც უდიდესი ჰუმანისტის, მოაზროვნის, შეხედულებების, გამონათქვამებისა და დასკვნების გათვალისწინება.

მეორე გამოცემისთვის საჭიროდ ჩავთვალეთ პირთა საძიებლის დამატება.

წიგნი ერთნაირად საინტერესო იქნება არამარტო იურისტებისთვის, არამედ ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

## წიგნი გვინებდა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
თავმჯდომარე, სამართლის დოქტორი

## ს ა რ ჩ ე ვ ი

ლიტერატურული საკუთრება – ავტორობის დაცვის სამსახურში .....	9
უფლება თარგმანებზე .....	19
მთარგმნელის, გადმომკეთებლის შემოქმედებითი თავისუფლების ფარგლები .....	29
ფსევდონიმითა და ანონიმით დაცული ავტორობა .....	35
პირველგამოქვეყნების უფლება .....	42
ნაწარმოების ხელშეუხებლობის უმაღლესი პრინციპი .....	54
მოჩვენებითი დიფამაცია .....	61
პირთა საძიებელი .....	75



## ლიტერატურული საკუთრება – ავტორების დაცვის სამსახურში

ღია ჭავჭავაძის ხანგრძლივი მოღვაწეობის მთელ მანძილზე სწორედ „ლიტერატურული საკუთრება“ იყო კრებითი ცნება ავტორის ქონებრივი და პირადი უფლებების გამოსახატავად.

ისტორიულად ლიტერატურული საკუთრების ცნება ავტორის ქონებრივი უფლებების დაცვასთანაა დაკავშირებული, როცა გუტენბერგის გენიალური გამოგონების შემდეგ წიგნის ტირაჟირება თანდათანობით გახდა შესაძლებელი და ამით მოხერხდა მისი, როგორც საქონლის, მასობრივად ჩართვა კომერციის სფეროში, ეს შეუძლებელი იყო ხელნაწერი წიგნების არსებობისას.

ლიტერატურული საკუთრება უაღრესად ხელსაყრელი და მარჯვე იურიდიული კონსტრუქცია აღმოჩნდა, ვინაიდან იგი პირდაპირ იძლეოდა საბაზრო საქონლის ნომენკლატურაში ლიტერატურული, მხატვრული ნაწარმოების ფართოდ ჩართვის საშუალებას.

„ბეჭდვის ინდუსტრიის“ შექმნის დროიდან ავტორს შეეძლო ეწერა არა მარტო დიდებისა და სახელისათვის, არამედ ჰონორარისთვისაც.

ლიტერატურული საკუთრება ნიშნავდა ავტორთა (უფრო ხშირად კი გამომცემელთა) განსაკუთრებული უფლებების გაძლიერებულ დაცვას.

მიუხედავად ამისა, ცნობილი იურისტისა და ლიტერატორის, ილია ჭავჭავაძის სტუდენტობის დროინდელი პროფესორის ვ. დ. სპასოვიჩის სიტყვებით, ლიტერატურული საკუთრება არ გამხდარა ავტორთათვის პანაცეა, რომ მის არსებობას „ხელი არ შეუშლია გაჭირვებაში დაელიათ სული დიდ მწერლებს, რომლებიც თანამედროვეთა მიერ არ ყოფილან აღიარებულნი, არ გადაურჩენია მათი ოჯახები სიღატაკისაგან“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> В. Д. С п а с о в и ч, вопрос о так-называемой литературной собственности, Жур. Вестник Европы, 1874, №6, с. 465.

მართლაც, პირველ რიგში, ლიტერატურული საკუთრება გამომცემელთა ინტერესებს იცავდა, შემდეგ ფართოდება და ღრმავდება ავტორთა ქონებრივ და პირად უფლებათა დაცვა ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო დონეზე. 1878 წელს ვიქტორ ჰიუგო პარიზში საერთაშორისო ლიტერატურული კონგრესის გახსნაზე ამბობდა: „ლიტერატურული საკუთრება სასარგებლოა ყველასათვის .... მწერალი-მესაკუთრე ესაა თავისუფალი მწერალი, წაართვა მას საკუთრება – ნიშნავს წაართვა მას დამოუკიდებლობა“<sup>2</sup>.

რუსეთში საავტორო კანონმდებლობა განვითარდა როგორც ნაწილი საცენზურო წესდებისა. ამ კანონმდებლობაში პირველად „ლიტერატურული საკუთრება“ 1828 წლიდან იხსენიება. მაგრამ მხოლოდ 1887 წლიდან გამოეყო საცენზურო წესდებას საავტორო სამართლის ნორმები იმპერიის კანონთა კრებულის მე-10 ტომის პირველი ნაწილის 420-ე მუხლის დანართის სახით. ღრმად ცდებოდა რევოლუციამდელი იურისტი ი. კანტოროვიჩი, როცა ამტკიცებდა, რომ „ამგვარად, 1887 წლიდან დადგენილებანი საავტორო სამართლის შესახებ გამოყოფილია პოლიციური ხასიათის კანონმდებლობისაგან და მათ, როგორც საკუთრების შესახებ დადგენილებებმა, დაიკავეს შესაბამისი ადგილი სამოქალაქო კანონმდებლობაში“<sup>3</sup>.

რუსეთის იმპერიის არსებობის ბოლო დღემდე პოლიციური ხასიათის ნორმები განსაზღვრავდნენ ავტორის მდგომარეობას. საცენზურო კანონმდებლობის წიაღიდან წარმომდგარ საავტორო სამართლის ნორმებს არა მარტო გენეტიკურად არ შეუწყვეტია კავშირი თავის წინამორბედთან, არამედ სამოქალაქო სამართლის ნორმები ყოველგვარი შეფარვის გარეშე აღიარებდნენ ცენზურის პოლიციური ნორმების პრიორიტეტს. სწორედ ამაზე მიუთითებდა რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის მე-10 ტომის პირველი ნაწილის 420-ე მუხლის დანართის 21-ე პუნქტი: „ის პირი,

---

<sup>2</sup> Виктор Г ю г о, Собрание сочинений в 15 томах, 1956, т. 15, с. 668.

<sup>3</sup> Я.А. К а н т о р о в и ч, Авторское право на литературные художественные и фотографические произведения, 1916, второе издание, Пет., С. 56.

რომელიც წიგნს დაბეჭდავს საცენზურო წესდების მოთხოვნათა დაუცველად, კარგავს ყველა უფლებას მასზე“<sup>4</sup>.

ბუნებრივია, ჩვენ ვერ გავიგებთ ავტორთა ნამდვილ მდგომარეობას ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის პერიოდში, თუ არ გავითვალისწინებთ ცენზურის კანონთა მოთხოვნებს, რასაც კიდევ უფრო ართულებდა ცენზურული ტერორის სიმკაცრე „ინოროდცების“ მიმართ. ამას ემატებოდა ქართული წიგნის გამოცემის სიძნელე (იმ დროს ქართველი ავტორის მიერ წიგნის დაბეჭდვა ჭეშმარიტი ნამება იყო). ეს იყო დრო, როცა ქართული ჟურნალ-გაზეთები იშვიათობას წარმოადგენდა და ი. მეუნარგიას სიტყვებით, „უბით ატარებდა თავის ნაწერს ამ დროს მწერალი“<sup>5</sup>. იგი მოკლებული იყო არა მარტო ლიტერატურული კრიტიკის კეთილმყოფელ გავლენას, არამედ მკითხველს და თავის ნაწარმოებს ხელნაწერის სახით თუ აცნობდა მწერლობის მოყვარულ ოჯახებს.

სწორედ ამ დროს ეროვნული პოეტური გენიის ნათელი გაელვება – ნიკოლოზ ბარათაშვილი 27 წლის ასაკში ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ თავისი ერთი დაბეჭდილი ლექსიც არ უნახავს.

„ცისკრის“ დაარსებას საავტორო ურთიერთობათა გამოცოცხლება მოჰყვა. ილია ჭავჭავაძის სიტყვებით, ამ ჟურნალის კარგი ის იყო, რომ არსებობდა. „ზოგჯერ მარტო არსებობაც ღვანლია, ნამეტნავად იმ გაჭირვებაში, როგორშიც იყო „ცისკარი“<sup>6</sup>. „ცისკრის“ არსებობის დროს ძნელი იყო ლიტერატორის დამოუკიდებლობაზე გველაპარაკა. არც ერთ ავტორს არ შეეძლო რაიმე ჰონორარის იმედი ჰქონოდა (ამ აზრით ანგარებას ვერც ერთ მათგანს ვერ შევწამებთ).

---

<sup>4</sup> Законы о печати, 1899, М., стр. 227.

<sup>5</sup> იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, 1941, ტ. II, გვ. 6.

<sup>6</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პავლე ინგოროყვას რედაქციითა და წინასიტყვაობით, ტ. 3, გვ. 221. შემდგომ ილია ჭავჭავაძის ამ ათტომეულის (1951-1961 წწ) მიხედვით ვაკეთებთ მითითებას სქოლიოს ნაცვლად თვით ტექსტში მის, ცალკეულ ნაწარმოებებზე, ფრჩხილებში პირველად ტომის რიგია მითითებული, შემდგომ კი დასახელებული ტექსტის გვერდი.

ამის შესახებ მათ წინასწარ აფრთხილებდა ჟურნალის რედაქცია, რომ „ვისაც ფიქრად აქვს ფასის მიღება, ვთხოვთ, ნუ შესწუხდება თავის სტატიების გამოგზავნით“<sup>7</sup>.

მეტიც, როგორც ანტ. ფურცელაძე იგონებს, ხდებოდა ისეც, რომ „ბევრი მათგანი ფულსაც გზავნის, ოღონდ დავიბეჭდეო: ერთს ამგვარ მწერალთაგანს ყველი და ერბოც გამოგზავნა ერთი ლექსის დასაბეჭდად“<sup>8</sup>.

ავტორები, რომლებიც ესწრაფვიან თავიანთი სახელი დაბეჭდილი ნახონ, რედაქციისათვის ძღვნით სავსე ხურჯინებს გზავნიან, თავსაც იმართლებენ – ანგარებისათვის არ ვბეჭდავთო, მაგრამ პატივმოყვარეობისა და ავტორობის მანია მათ მოსვენებას არ აძლევთ. ამასთან, “იმ დროს, როდესაც „კოლეჟსკი რეგისტრატორობა“ უფრო საპატიო იყო, ვიდრე პოეტობა“<sup>9</sup>. დაბეჭდვის საღერღელამილილ ავტორებს, იმავე ანტ. ფურცელაძის სიტყვებით, „ამ თავის თხზულებაზე გაუბეჭდვით სხვილის ასოებით ჩინი, ტიტული<sup>10</sup>, თავისი და მამის სახელი და გვარი“.

ამ თავხედური თვითდაჯერებით განებივრებულ ავტორებს დიდ წყალობად მიაჩნდათ, თუ ჟურნალისთვის რაიმეს დაწერდნენ და ამით ჭარბ თავისუფალ დროს მოკლავდნენ.

„ცისკრის“ უბედურება მარტო ის კი არ იყო, რომ მას არ შეეძლო მასალები არჩევით დაებეჭდა, არამედ იგი დამოკიდებული იყო ამგვარ ავტორ-ხელმომწერებზე (მათი წყენაკი საბედისწერო შეიძლებოდა გამხდარიყო ჟურნალისათვის).

აკი ამის გამო არც საყვედურობდა რედაქციას ახალგაზ-

<sup>7</sup> იხ. პაატა გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება მე-19 საუკუნეში, ტ. 7, ქართული სტამბის წიგნი 1629-1979, 1984, გვ. 432.

<sup>8</sup> იხ. ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, III, 1863-1871, 1985, გვ. 22.

<sup>9</sup> ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ლიტერატურის ისტორია (19 ს.) 1959, გვ. 369.

<sup>10</sup> იმდროინდელმა ქართველმა თავადებმა თავიანთი ღირსების შელახვად მიიღეს და სასამართლოში უნდოდათ შეეტანათ საჩივარი იმის გამო, რომ „საქართველოს მოამბეს“ ეწერა – „გამოიცემის ი.ჭავჭავაძისაგან“ და არა .... „თავად ი.ჭავჭავაძისაგან“ (იხ. „მნათობი“, 1960, №10, გვ. 174).

რდა ილია ჭავჭავაძე: „უფ. კერესელიძე გასამტყუნარი არ არი. აბა ნუ დაბეჭდავს და ნახავს, რამდენი ხელის-მომწერი მოაკლდება ... გინდა თუ არა უნდა დამოკიდებული იყო იმ კაცებზედ, რომელნიც წინდაუხედავად, უთავბოლოდ, რაც მოხვდებათ ჰბლაჯნიან, რადგანაც იმედი აქვთ, რომ საბრალო „ცისკარი“, მათგან ფულით დავალებული, ნებით თუ არა ნებით, აღარ მისცემს თავის ფურცლებზე იმათ გამოუსადეგ სტატიასა“ (3,16)<sup>11</sup>.

ამ სტრიქონების დაბეჭდვა „ცისკრის“ გვერდებზე, რასაკვირველია, რედაქტორ ივ. კერესელიძის გაბედულებას ადასტურებდა, ვინაიდან „ერთგვარ თავგანწირვასაც მოითხოვდა“<sup>12</sup>. საზოგადოდ, ილიას იმ სტატიის დაბეჭდვა, რომელიც მარტო ერთი თარგმანის საკითხს კი არ განიხილავდა, არამედ ნამდვილი ლიტერატურული მანიფესტი იყო მთელი ახალი თაობისა. ქრონოლოგიურად სწორედ ამ წერილის დაბეჭდვას უკავშირდება თერგდალეულთა გამოსვლა. ნიკო ნიკოლაძე 1873 წელს წერდა: „1861 წელს ახალი თაობა ჩვენ ცხოვრებაში პატიოსანი გრძნობით აღვსილი შემოვიდა, იმას კეთილი მიზანი ჰქონდა, პატივსაცემი მიმართულება, შრომისა და ბრძოლის სურვილი და ახალგაზრდული აღტაცება, მაგრამ როგორ ან რისთვის დავმალო, რომ ამ თაობას, ამ ახალ რაზმს შეადგენდა თითქმის მარტო ერთი კაცი, – ილია ჭავჭავაძე, რომელიც წინამძღოლიც იყო და რაზმიც, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ურაზმო წინამძღოლი იყო იმ ახალი თაობისა, რომელსაც ჩვენ ცხოვრებაში ფეხი უნდა შემოედგა ამ თორმეტი წლის წინათ. თვითონ ეს თაობა გამზადებული როდი იყო ძველ თაობასთან ბრძოლაში შესაბამელად“<sup>13</sup>.

ლიტერატურული საკუთრება, როგორც აღვნიშნეთ, უპირველესად ქონებრივი ურთიერთობის რეგულირებით დაიწყო, მაგრამ ქართველი ავტორი არასდროს ყოფილა გა-

---

<sup>11</sup> აქ და შემდგომში, ფრჩხილებში მითითებულია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის ათ ტომეულის (1951-1961) შესაბამისი ტომი და გვერდი.

<sup>12</sup> ა.ბ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ქართული რომანტიზმი, 1983, გვ.445.

<sup>13</sup> ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, დ.გამეზარდაშვილის რედაქციით და შენიშვნებით, 1963, ტ.III, გვ.202.

ნებივრებული ჰონორარით. ჩვენში ხშირად საჟურნალო მოღვაწეობა მის რედაქტორ-გამომცემელს მოგებას სრულიადაც არ უქადდა, პირიქით, შეეძლო მისი ჯიბიდან დამატებითი თანხები მოეთხოვა. ასე იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. ი. კერესელიძემ მთელი თავისი ქონება „ცისკარს“ შესწირა, ს. მესხმა „დროების“ გასაუმჯობესებლად აღებული ვალები საფლავში ჩაიტანა. ი. გოგებაშვილის სიტყვებით, ი. ჭავჭავაძე წელიწადში რამდენსამე ასს თუმანს ადებდა „ივერიას“<sup>14</sup>.

ქართველ მწერალს არ შეეძლო ხელნაწერი თავისუფლად ექცია ფულად, მას არ შეეძლო ლიტერატურული შრომით ეარსება. ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, რომ ჰონორარის სიჭარბეს უარყოფითი ზეგავლენა მოეხდინოს ნაწარმოების ღირსებაზე, ლუკმა-პურისათვის ბრძოლა ბევრ დროს ართმევდა უიღბლო ავტორებს. წიგნი იმ დროს თვითღირებულების ფასით, ზოგჯერ საკუთარი თანხების დამატებით თუ შეეძლო დაებეჭდა ავტორს. ამ ვითარებაში ჰონორარზე უარის თქმა ერთადერთი პირობა შეიძლებოდა ყოფილიყო წიგნის დაბეჭდვისა. ხშირად ავტორი უარს ამბობდა ჰონორარზე სხვა, უფრო ხელმოკლე ავტორის სასარგებლოდ. ილია ჭავჭავაძე 1864 წლის აგვისტოში ქუთაისიდან სწერდა პეტერბურგში ქართული პოეზიის გამოსაცემ კრებულში მისი ლექსების დაბეჭდვის თაობაზე კირილე ლორთქიფანიძეს: „ფულისას ინერები, ნეტაი, ჩემი ძმაო, იმოდენა ფული აიღო, რომ შენი შრომის და წიგნის ხარჯი გამოგივიდეს, და სხვაზედ ნურას ნაღვლობ. თუნდ რომ ბევრი ფულიც დაგრჩეს, მაინც მე წინადადე ვარი მიყვია: შენ თითონ მოიხმარე – ეგ უკეთესი იქნება, ან სხვას მოახმარე, იმისთანას, რომელიც გაჭირვებულია. მანდ ჩვენი ამხანაგები ბევრნი იმისთანანი არიან, რომელთაც დღიური ლუკმაც უჭირთ, პირველი ჩვენი შრომის შემოსავალი იმათი კუთვნილია, იმათ გადაეცი: ჩვენი ლექსები დამიჯერე, უკეთესს ვერას იზამენ. არ ვიცი სხვა რას ფიქრობს და ჩემთვის კი ისიც სამყო-

---

<sup>14</sup> იხ. ნოდარ ტ ა ბ ი ძ ე, ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოცემის ცდები მე-19 საუკუნის 70-90-იან წლებში, „მნათობი“, 1986, №6, გვ.124.

ფია, რომ ჩემმა ლექსმა სხვათაშორის ისიც შეიძლოს, რომ ერთს ჩვენთაგანს უფრო გაჭირვებულს, ერთ თვეს მაინც მუცელი გაუძლოს. ამას გვედრები, რომ ამისთანა რამ ჩემი სახელით არ იყოს“ (10, 26).

როგორ ისწრაფოდა ილია შესაძლო ჰონორარზე უარით პეტერბურგელი ქართველი თანამოძმის მდგომარეობა შემსუბუქებინა ყოველდღიური ლუკმა-პურისათვის ბრძოლაში. 1864 წელს კ.ლორთქიფანიძემ მართლაც გამოსცა პეტერბურგში ქართველ პოეტთა ლექსების შესანიშნავი კრებული „ჩონგურის“ სახელწოდებით.

რასაკვირველია, ქართველი ლიტერატორის მძიმე მატერიალური მდგომარეობა არც შემდგომ შემსუბუქებულა, როცა საქართველოში მოიმატა ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმა და შედარებით დანიანაურდა ქართული წიგნის გამოცემის საქმე. მაინც წერდა ილია 1886 წელს, რომ ყოვლად შეუძლებელია ჩვენში „ქართველ ლიტერატორის კუჭმადღრობა“ (3, 373).

1888 წელს ილია კვლავ ადასტურებს, რომ სალიტერატურო მოღვაწეობა საერთოდ და საკუთრივ ჟურნალ-გაზეთების საქმე ჯერ კიდევ მსხვერპლს ითხოვს მოღვაწისაგან. ეს, ისედაც მძიმე საქმე იმით არის გართულებული, რომ ჟურნალ-გაზეთის ხელმძღვანელი „გარდა იმისა, რომ უწყალო შრომას უნდა დაეცევივინოს, დრო და ჟამი უნდა შესწიროს და თვალები გაიწყალოს აუარებელი ჯაფისაგან, ხშირად იძულებულია ყოველს ამას თავისი ცოტად თუ ბევრად შეძლებული ჯიბეც ზედ დააბერტყოს“ (8, 275). იქვე ჟურნალ-გაზეთის ხელმძღვანელის უმადურ, დაუფასებელ საქმიანობაზე ილია ჭავჭავაძე დასძენდა: „სირცხვილია, სირცხვილი, კაცმა უანგაროდ იშრომოს, უსასყიდლოდ ჯაფა გასწიოს ჩვენთვის და ჩვენ იმოდენად დაუნახავნი ვიყვნეთ, რომ ხარჯის გასასტუმრებელი ღონეც კი არ ვაძლიოთ“ (8, 277). კვლავაც და კვლავაც ძნელია სალიტერატურო შრომა. იგი არ იძლევა საშუალებას თავის რჩენისა, ამით ნიჭიერს აშორებს მწერლობას, ანდა ასეთები საერთოდ იკარგებიან მწერლობისათვის. 1895 წელს ქართული კულტურის შესანიშნავი მოამაგე პეტრე უმიკაშვილი წერდა ქართველ მწერალთა უკიდურეს უღონობასა და სიღარიბეზე,



რომ მათ „მუდამ დღე თავში სცემს წვრილშვილის სიშიშველე, უსწავლელად ყოფნა მისი, ან ნათესავისა და მეგობრის გაჭირვება ხომ ცხვირიდან ძმარს ადენს“<sup>15</sup>. დაუმატეთ ყოველივე ამას ცენზურის არტახები და მაშინ წარმოიდგენთ, რამდენი სიძნელე უნდა გადაელახა ავტორს და რედაქტორ-გამომცემელს.

ასეთ პირობებშიც ილიას „ივერია“ ზრუნავდა ხელმოკლე ავტორებზე.

ილია ზურაბიშვილი აგვიწერს, თუ ჰონორარის გაცემის რა სისტემა ჰქონდა „ივერიის“ რედაქტორს. „წელიწადნახევარმა გაიარა, რაც მე „ივერიაში“ ვთანამშრომლობდი როგორც ბელეტრისტი. ამ ხანში შედარებით ბევრსა ვწერდი და ყველა ჩემი ნაწერი იბეჭდებოდა. ჰონორარს, რასაკვირველია, არ მაძლევდნენ და არც მე მითხოვნია, ვიცოდი კი, რომ ხანდახან ჰონორარსაც იძლეოდნენ“.

ილია ზურაბიშვილსაც მოუსინჯავს ჯარისკაცად ყოფნის დროს ჰონორარის მოთხოვნა. „მივიტანე ერთი ჩემი ნოველა „ღულუნი“ და ჰონორარიც მოვითხოვე, გიორგი ლასხიშვილმა მითხრა, რაკი ფულს თხოულობ, შენი ნაწერი ილიამ უნდა წაიკითხოს და გადაწყვიტოს, მოგცეს თუ არა გასამრჯელო, ასეთი წესიაო“<sup>16</sup>. შემდეგ იგი გადმოსცემს იმ სიხარულს, რაც ჯარისკაცის ჯიბისათვის ილიას გაცემულ ჰონორარს ჰქონდა, უფრო კი ნოველის დაბეჭდვით გამოწვეულ სიამაყეს. ავტორებისათვის ჰონორარის გაუცემლობას წიგნის სიიაფე არ მოჰყოლია.

ლიტერატურული საკუთრების დაუცველობის პირობებში განსაკუთრებით ზარალდებოდა იმ ავტორების ნაწარმოებთა ხელშეუხებლობა, რომლებიც ცოცხლები აღარ იყვნენ: ავტორობას ზოგჯერ მთარგმნელი იჩემებდა, ზოგჯერ კი – გამომცემელი<sup>17</sup>.

---

<sup>15</sup> პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, გასამრჯელო სალიტერატურო შრომისათვის, „მოამბე“, 1895, №2, გვ.72.

<sup>16</sup> ილია ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი (ელეფთერიძე), წარსულის ანარეკლი (მოგონება ილია ჭავჭავაძეზე), თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული „ილია ჭავჭავაძე“, 1939, გვ. 320.

<sup>17</sup> იხ. მაგალითად, გ.მიქაძის წინასიტყვაობა ფსევდონიმების ლექსიკონისათვის, 1984, გვ. 20-22.



ცნობილი ქართველი ჟურნალისტი სერგეი მესხი წერდა: „როგორც წვიმის შემდეგ სოკოები, ისე იბადებიან ჩვენში სხვადასხვა, ათასგვარი პატარა წიგნები, შაურიანი ბროშურები, ვინც არ გინდა, გამომცემლობას ჩემულობს. თითო-ორ თუმანს მონახავენ სადმე, აიღებენ და სულელურ ლექსებს, ზღაპრებს, მოთხრობებს ან სხვა რამ ამგვარს ბეჭდავენ და ჰყიდიან.

მომეტებული ნაწილი ამ წიგნებისა არც ღმერთს არგია, არც ერს, უფრო ხშირად კი ეს უმეცარი გამომცემლები ისეთ წიგნებს ავრცელებენ, რომელიც მავნებელია ... ამგვარი წიგნების ასე მსწრაფლად ათასობითა და ათი ათასობით გავრცელება გვიმტკიცებს, რომ ჩვენს ხალხში არის სურვილი, არის ხალისი წიგნების კითხვისა, ამტკიცებს, რომ ჩვენ უბრალო ხალხსაც ეჭირება გონებითი საზრდო, ტვინის საკვები“<sup>18</sup>.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე დაუცხრომლად ზრუნავდა ხალხში სასარგებლო წიგნების გავრცელებისათვის<sup>19</sup>.

ილია კარგად იცნობდა „ლიტერატურული საკუთრების“ ცნებას და ის ავტორთა უფლებების დაცვის მოსაწონ საშუალებად მიაჩნდა. სწორედ ამიტომ იგი 1887 წელს „ივერიაში“ წერდა, რომ „კაცს, ცუდია თუ კარგი, თავისი ნაამაგარ-ნაშრომი ნაწერები აქვს: ეგ მისი კუთვნილებაა, მისი საკუთრებაა, მერე იმისთანა, რომელსაც დღეს რუსეთში მუქთად არავინ არავის არ უთმობს და, ცოტაა თუ ბევრი, თავისი ფასი აქვს. ეს საკუთრება მუქთად დაიჩემა მეორემ და პატრონმა ეს მუქთამჭამელობა არ დაუთმო და თავისი მოითხოვა. აქ არაფერი უკადრისობა არ შეენამება პატრონსა“ (8, 267).

როგორც ვხედავთ, აქ საავტორო უფლებების ქონებრივ მხარეზეა ხაზი გასმული. სხვაგან ილია საავტორო უფლე-

---

<sup>18</sup> პაატა გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება მე-19-20 სს. (ტ.7), ქართული სტამბის წიგნი, 1984, გვ. 476.

<sup>19</sup> იხ. სოლომონ ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, მანათობელი (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 100 წელი), 1980, გვ.38-39, 62.

ბის პირად არაქონებრივ ასპექტსაც ეხება. მათ დაცვას ილია არანაკლებ როლს აკუთვნებს, ვიდრე ავტორის ქონებრივი ინტერესების გათვალისწინებას.

მეტად ნიშნეულია „ივერიის“ ყველაზე ხანგრძლივი თანამშრომლისა და ილიას ერთ-ერთი უპირველესი ბიოგრაფის გრ. ყიფშიძის სანდო მოწმობა, რომ ილია ჭავჭავაძეს თავის დღეში არავითარი გასამრჯელო არ აუღია მწერლობისათვის. მეტიც, ჰონორარი მას არ აუღია არც გვიან, როცა „ქართული გამომცემლობის ამხანაგობამ“ იკისრა მისი თხზულებების დაბეჭდვა 1892 წელს<sup>20</sup>.

---

<sup>20</sup> იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ.1, მ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914, გვ.32.

## უფლება თარგმანება

ილია ჭავჭავაძე და მხატვრული თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, საბედნიეროდ, კარგადაა შესწავლილი სპეციალისტთა მიერ. ამ პრობლემას საგანგებო გამოკვლევები მიეძღვნა<sup>21</sup>. ეს ხელშემწყობი გარემოებაა საკითხის სამართლებრივი მხარეების კვლევისათვის, რაც ჯერ არ გაკეთებულა.

სამოღვაწეო ასპარეზზე ილია ჭავჭავაძის გამოსვლის დროს არა თუ თარგმანების საერთაშორისო დაცვა არ არსებობდა, არამედ თვით იმპერიაშიც არ ყოფილა სამართლებრივად მოწესრიგებული „ინოროდეცი“ ავტორების ნაწარმოებთა თარგმანი. ყველაფერი ეს კერძო წესით შექმნილ გაეკეთებინა მთარგმნელს, ავტორისათვის შეტყობინების ყოველგვარი მორალურ-ეთიკური მოვალეობის გარეშე, სულ ერთია, თუნდაც ავტორი სახელგანთქმული მწერალი ყოფილიყო. მრავალთავან ერთი მაგალითით დავკმაყოფილდებით.

1900 წელს რუსი იურისტი და მწერალი ვ. ჩეშიხინი წერდა: „1889 წელს ჩვენ თხოვნით მივმართეთ ჰენრიხ სენკევიჩს, ნება მოეცა გამოგვეცა მისი რომანის „წარღვნა“ რუსული თარგმანი. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ მისი, როგორც რუსეთის ქვეშევრდომის, საავტორო უფლებები დაცული იყო. როგორი იყო ჩვენი გაოცება, როდესაც მივიღეთ პ. სენკევიჩის პასუხი, რომელიც დიდი კმაყოფილებით იძლეოდა ნათხოვნ ნებართვას, მაგრამ, ამავე დროს, გვატყობინებდა, რომ ჩვენ პირველებმა ვთხოვეთ მას ამის შესახებ, ვინაიდან რუსი მთარგმნელები და გამომცემლები მის თხზულებებს ყოველგვარი შეტყობინებისა და ნებართვის გარეშე ბეჭდავდნენ.“

უკანასკნელ ათ წელიწადში მოვლენათა ასეთი უმსგავსო

---

<sup>21</sup> იხ. ქ. ბ. უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, „ილია ჭავჭავაძე და მხატვრული თარგმანი“, საიუბილეო კრებული თბილისის უნივერსიტეტისა „ილია ჭავჭავაძე“, 1977, გვ. 120-139; პ. ი ა შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძე მხატვრული თარგმანის შესახებ, „ლიტერატურულ-თეორიული ნარკვევები“, 1982 (მხატვრული ასახვის თავისებურება და ცალკეული ჟანრული ფორმები).

მდგომარეობა სრულიადაც არ შეცვლილა. გასულ 1899 წელს, გაზაფხულზე, ჰ. სენკევიჩმა დაბეჭდა რუსულ გაზეთებში მონოდება, რომელშიც სთხოვდა იმ რუს გამომცემლებსა და მთარგმნელებს, რომლებიც მის ნაწარმოებებს ბეჭდავდნენ ნებართვის გარეშე, შეენიროთ „დამშეულთათვის“ ნაწილი იმ თანხებისა, რომელიც მიეცემოდა მას, როგორც ავტორს“<sup>22</sup>.

„ინოროდცი“ ავტორის უფლებათა დაუცველობის რელიეფური სურათია!

ორიგინალის ავტორთა უფლებების ამგვარი დაუცველობა სრულიადაც არ აფრთხობდა ილია ჭავჭავაძეს. იგი არა მარტო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ავტორთა რუსულ თარგმანს, არამედ, ამასთან ერთად, იგი იყო პირველი ყველაზე დიდი ორგანიზატორი ამ საქმისა. გავიხსენოთ, როგორი წუხილით სწერდა იგი რუსულად თარგმანების სიმცირეზე ნიკო ნიკოლაძეს 1883 წელს: „თქმა არ უნდა, რომ დიდი საქმე იქნება, ჩვენი მწერლების ნაწერები რუსულს ჟურნალებში დაიბეჭდოს. მაგრამ ეს არის, მთარგმნელი ვინ იქნება. კიდევ თქვენ თუ იშოვით მანდ, თორემ აქ არავინ მეგულება. აქ თხორყვესკისათვის მიხდოდა მეთარგმნებინა ერთი რამ, მაგრამ მითხრეს, ბევრს ფულს მოითხოვსო და მოვერიდეთ. მაინც და მაინც რომ შრომა მიიღოთ და იკითხოთ, თქვენდა მახლობელ რედაქციებში თარგმნილ ლექსში რას მისცემენ, ძალიან კარგს იზამთ. მოვისაზრებ მაინც რა დაგვიჯდება თარგმანი, და თუ მანდაური ფასები შეღავათს რასმეს მისცემს ჩვენს ჯიბეებს, დანარჩენს ჩვენ დავყრით, როგორც იქნება“ (10,47).

ორიგინალის ავტორები საკუთარ ნაწარმოებთა თარგმნისათვის მზად არიან თავისი ღირებულება შემოსავალიც კი გაიღონ. აქვე აღვნიშნავთ, რომ, თავის მხრივ, ნიკო ნიკოლაძე არა მარტო აქტიურად უჭერს მხარს რუსულად თარგმნის ორგანიზაციას, არამედ 1883 წელს თარგმნის და პეტერბურგის რუსულ ჟურნალებში აქვეყნებს ილიას „გლენტა განთავისუფლების სცენებს“. სპეციალისტთა აზრით, „ნიკოლაძისეულ თარგმანში გათვალისწინებულია დრამატურგული თხზულების თარგმნის სპეციფიკა. გადმოცე-

---

<sup>22</sup> В. Ч е ш и х и н, По поводу законодательства об авторском праве на литературные и музыкальные произведения, "Журнал министерства юстиции", 1900, №1, с. 206-207

მულია დედნის სტილი, პერსონაჟის მეტყველების თავისებურებები, ხასიათის გახსნის საშუალებები, მოქმედების განვითარების პერსპექტივა<sup>23</sup>.

ჩვენთვის არ არის ცნობილი ილიას რუსული ავტორიზებული თარგმანები, ისევე როგორც ცოტა რამ ვიცით ავტორისეული შეფასების თაობაზე სხვადასხვა რუსული თარგმანებისა. ასე, მაგალითად, 1891 წლის 27 ნოემბერს გ. თუმანიშვილი სწერდა გ. ვოლსკის: „ამას წინათ ილია ჭავჭავაძე შემხვდა, საუბარი გვქონდა „კაცია-ადამიანის“ თარგმნის შესახებ და ილიამ მითხრა, პოლტარაცკის თარგმანი არ მომწონსო. შემდეგ ილიას ვაჩვენე თქვენი თარგმანი და იგი ილიას მოეწონა“<sup>24</sup>.

ექვთ. თაყაიშვილის ცნობით, ივ. პოლტარაცკის ვაჟს ალექსანდრეს ჰქონია მამის მიერ თარგმნილი „გლახის ნამბობი“, „კაცია-ადამიანი“ და „ოთარაანთ ქვრივი“, „თარგმანის ხელნაწერთა აშიებზე ილიას შენიშვნა-შესწორებანი ყოფილა“<sup>25</sup>.

ამ რუსულ თარგმანებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია და სწორედ ამიტომ 1902-1903 წლებში დაწერილ ავტობიოგრაფიაში საჭიროდ თვლის აღნიშნოს: „ჩემ თხზულებათა შორის რუსულად ითარგმნა სხვადასხვისაგან რამდენიმე წერილი, ლექსი და ერთი პოემა „განდეგილი“ სთარგმნა ბატონმა თხორჟევსკიმ“ (9,311)<sup>26</sup>.

ავტობიოგრაფიაში ილია ჭავჭავაძე ჩამოთვლის თავისი ნაწარმოებების თარგმანებს ინგლისურ, ფრანგულ და გერ-

---

<sup>23</sup> გ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა პირველი რუსული თარგმანები, 1987, გვ. 112.

<sup>24</sup> დ. ნ ა ც ვ ა ლ ა ძ ე, გ. ვოლსკი, 1955, ბათუმი, გვ. 99.

<sup>25</sup> ექვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ჩანაწერები, 1968, ტ1. გვ.257.

<sup>26</sup> დამახასიათებელია, რომ ი. ფ. თხორჟევსკი (1841-1910) შეუძლებლად თვლიდა ცხოვრებას ლიტერატურული, მთარგმნელობითი შრომით. 1881 წლის ნოემბერში იგი წერდა ნიკო ნიკოლაძეს: „პირადად ჩემთვის კი მატერიალური მხარით ყველაზე ხელსაყრელი იქნებოდა უარმეყო საჭურნალო საქმე, ვინაიდან არასდროს არ მომცემს იგი იმდენს, რასაც მაძლევდა ადვოკატურა“, იხ. Из. переписки Н. Я. Николадзе с русскими и зарубежными литературно-общественными деятелями, Изд. Проф. Г. Джавахишвили, 1980, с. 115.

მანუღ ენებზე.

პირველად აღნიშნავს მარჯორი უორდროპის მიერ „განდეგილის“ თარგმნას.

როცა მარჯორი უორდროპი შეუდგა „განდეგილის“ თარგმნას, ინგლისთან რუსეთს არავითარი კონვენცია არ ჰქონდა და დადებული საავტორო უფლების დაცვის თაობაზე. ასეთ ვითარებაში ავტორთან შეთანხმება მოსალოდნელი ვეტოს შიშით კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ ლიტერატურული ეთიკისა და ტრადიციების დაცვიდან გამომდინარე. მართლაც, შეტყობინება მარტო თავაზიანობის აქტი როდია. ამ დროს მთარგმნელს ბევრი რამ სასარგებლო შეუძლია გაიგოს ორიგინალის ავტორისაგან.

ქართულ ენასა და ქართულ კულტურაზე შეყვარებული ინგლისელი ქალი, რომელიც ამ ენის სირთულეებს თვითონ დამოუკიდებლად ძლევს ქართული ენის უძველესი ტექსტების შესწავლით, 1894 წლის 8 სექტემბერს ილიას უგზავნის შემდეგ წერილს:

„მონყალეო ხელმწიფევ!

ინგლისურად თარგმანი ვჰქმენ თქვენსა „განდეგილსა“, რომელსა უკეთესისა ლექსისა თქვენი მშვენიერი ენაში, რომ მე ვკითხვე, და რომელსა ქონება ყველას მწერლობას დიდება უნდა იყოს.

მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის სიამოვნება, რომელიც მე ამ ლექსმა მაგრძნობინა, ამისათვის ვჰკადრებ თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი თარგმანი გამოცემად.

ვსცადე სიტყვით სიტყვითად მას გამოთქმა, მაგრამ ბევრი მისი მშვენიერება უნდა იყოს, საჭიროდ და კარგული უცხო თარგმანში.

ჩემი ძმა დიდი პატივი ჰქონდა, რაოდენმე წელიწადნი უკან ტფილისში, თქვენი გაცნობა ქმნა, და მე დიდი იმედი მაქვს, რომ მეც მაგასთან მალე მოვალ საქართველოში, ქვეყანა რომელკენ მე გულწრფელი სიყვარული ვჰგრძნებ, და სურვილი მაქვს რომ მერე მე შევსჰძღებ პირდაპირ გამოთქმა უღრმესი პატივისცემა თქვენის ნიჭისათვის და დიდებული მსახურობისათვის მიცემული საქართველოსათვის.

მე ვარ ბატონო, მომლოდინე ჩემთვის სასიხარულო ნე-

ბისა. თქვენი პატივისმცემელი მარჯორ უორდროპი“<sup>27</sup>.

ილია ჭავჭავაძის პასუხი მარტო პირადი მაღლიერება როდია უცხოელი ქალის ამ თავგანწირვისა და სიყვარული-სათვის; ერის ჭეშმარიტ მამას საბაბი ეძლევა გამოხატოს მშობელი ხალხის გულისნადები. აი, ადგილები ილიას პასუხიდან: „მონყალეო ხელმწიფავ! დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს „განდეგილს“ თქვენი ყურადღება მიუქცევია, სასახელოდ მიმაჩნია, რომ მოგინადინებიათ და გადაგითარგმნიათ ინგლისურად.

ინგლისმა მეტად ცოტა რამ იცის ჩვენის უბედურის ქვეყნისა და დაობლებულის ერისა, რომელსაც ერთ დროს თავისი სახელოვანი წარსული ჰქონია, თავისი გმირნი, მეცნიერნი, მწერალნი და პოეტები ჰყოლია და მათის მეოხებით გულდაგულ დახვედრია განათლების მტრებს – ბარბაროზებს.

... გადაღება ინგლისურად ჩვენი მწერლობისა, გადაღება ჩვენი გულისცემისა, ჩვენი გულითადის ნატვრისა, ჩვენი ჭირისა და ღხინისა, ჩვენი გონების და გრძნობის ძაღლონისა საყოველთაო საცნობელად.

ამ მხრით თქვენი განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა ჩვენი გონების ნაწარმოებთა თარგმანისათვის დიდ სამსახურად მიჩნეულ იქნება ყოველის ქართველისაგან და ჩვენს მაღლობას თქვენდამი სამზღვარი არ ექნება.

ჩემი „განდეგილი“ მომირთმევია თქვენთვის, როგორც გენებოთ ისე იმსახურეთ, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ნაწერს, თქვენზე უკეთეს პატრონს და მფარველს ვერ ავუჩენდი“ (10, 138-139).

ამასთან, ილია წერდა იმ დიდ სიხარულზე, რომლითაც მარჯორი უორდროპთან შეხვედრას მოელოდნენ საქართველოში, და დაასკვნიდა: „იმედი გვაქვს, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგანონებთ და დაგანახვებთ, რომ იგი ღირსია თქვენის ყურადღებისა და სიყვარულისა“.

მარჯორი უორდროპმა სულ ორმოცი წელი იცოცხლა, მაგრამ მაინც მოასწრო გაეხარებინა ილია ჭავჭავაძის გული იმით, რომ უდიდესი შემართებით შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად თარგმნას. თვითონ მარჯორი უორ-

<sup>27</sup> ილია ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, წერილები, იოსებ ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, 1949, სოხუმი, გვ. 177-178.

დროპისათვის ილია ქავჭავაძე გახდა ქართველთა სულიერი სიძლიერის გამოხატულება.

ილია დიდად იყო დაინტერესებული, რომ ქართული მხატვრული სიტყვა ევროპულ ენებზე ამეტყველებულიყო. ამისათვის იგი მზად იყო დაუზარლად დრო გამოეყო და ზეპირი პნკარედები მიენოდებინა მთარგმნელისათვის. აქ არტურ ლაისტის შესანიშნავი მოგონება გავისხენოთ: „დიდი სურვილი მქონდა, ჩემი თანამემამულე ევროპელებისათვის სრულიად უცნობი ქართული ლიტერატურა გამეცნო. ილია ფიქრობდა, რომ მე უნდა შემედეგინა ქართულ ლექსთა კრებული გერმანულ ენაზე. ჩვენ ორთავენი გულმოდგინედ შევუდექით ამ საქმეს. იმხანად ქართულ ენაში მაინცა და მაინც განაფული არ გახლდით, ამიტომ ილია სიტყვა სიტყვით მითარგმნიდა ქართულ ტექსტს, რაც სრულიად არ ამახინჯებდა არც აზრსა და არც ლექსის პოეტურ სილამაზეს. ჩემი პირველი კრებულის დიდი ნაწილი საგურამოში ვთარგმნე. აქ პოეტის ძველი სახლის აივანზე ვისხედით ხოლმე“. ზეპირი პნკარედის ავტორი როდი იზღუდებოდა სიტყვა-სიტყვითი თარგმანით. არტურ ლაისტი განაგრძობს: „ილია სადეკლამაციო ტონით ლექსებს ლექსებზე მიკითხავდა, დრო და დრო თავისი სამშობლოს პოეზიის სილამაზეზე მიმითითებდა. წყნარად, დარბაისლურად და ჭეშმარიტი გზით შეეყავდი მას ახალ ქვეყანაში, აღმოსავლეთის იმ ჭიშკარში, რომელიც ყმანვილობიდანვე მიზიდავდა. ილია ხშირად შეწყვეტდა ხოლმე თარგმანს და ქართული ენის სხვადასხვა თავისებურებებზე შეუდგებოდა საუბარს, ან რომელიმე ხალხურ ჩვეულებას ახსნიდა. ბაასი და საუბარი შუალამემდე მიატანდა, ვიდრე ირგვლივ საიდუმლო მყუდროება დაისადგურებდა“<sup>28</sup>.

ილია მარტო არაქართველ მთარგმნელთა მიმართ როდი იჩენდა მზრუნველობას. ასევე დიდად ახალისებდა იგი ეროვნულ ნაწარმოებთა ევროპულ ენებზე მთარგმნელ ქართველებს. რასაკვირველია, მისი უპირველესი ნატვრა იყო „ვეფხისტყაოსნის“ უცხოელ მკითხველისათვის გაცნობა, რათა იგი ქცეულიყო ხალხთა ინტერნაციონალურ საკუთრებად.

სწორედ ამის გამო, ილია უსაზღვრო სიხარულით შეხ-

---

<sup>28</sup> არტურ ლაისტი, საქართველოს გული, 1963, გვ.4.



ვდა იონა მეუნარგიას მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნას.

საერთოდ ქებაზე სიტყვაძუნნი ილია არ იშურებს ეპითეტებს იონა მეუნარგიას ღვანლის დასაფასებლად. 1884 წლის 30 ნოემბერს, ევროპელ სტუმართან შეხვედრისას, ილია ამბობდა: „რაკი სამართლიანის თაყვანისცემით მოვიხსენიეთ რუსთაველი, მაშინ უსამართლობა, უმადურობა იქნება ჩვენ დავივიწყოთ მისი მთარგმნელი. რუსთაველი მზეა და მთვარე მეუნარგია იქნება, რადგან ვითა მზის შუქითა ჰნათობს მთვარე, ისეც რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის იქით ჩვენი ერის მოღვაწეთა შორის“<sup>29</sup>.

როგორ გაიხარებდა დღეს ილია ჭავჭავაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ტრიუმფალური მსვლელობა რომ დაენახა მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე, მათ შორის ისიც, თუ როგორ ეჯიბრებიან დიდად დანინაურებული ერების წარმომადგენლები მის ახალ-ახალ სრულ თარგმანებში!

ილია დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა მთარგმნელს. ამის შესანიშნავი მაგალითია მისი სტატია „ორიოდე სიტყვა“ ..., სადაც კოზლოვის „შეშლილის“ ერისთავისეული თარგმანი გამოაცხადა შთამომავლობისათვის გადასაცემ „გამოუთქმელ სიცუდის მაგალითად“ (3, 15).

მაგრამ მარტო რევაზ ერისთავი როდი გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძემ, იგი ზოგიერთ უძველეს ქართულ თარგმანსაც კრიტიკულად აფასებდა, მაგალითად, თვლიდა, რომ იერემიას გოდება „საძაგლად არის თარგმნილი ჩვენს დაბადებაში, თუმცა ალაგ-ალაგ კარგია“ (10, 38).

ილიას ხშირად მიმართავდნენ მისი თანამედროვენი თარგმანების შეფასებისათვის და ისიც, მისთვის ჩვეული პირდაპირობით გამოთქვამდა თავის აზრს. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი თარგმანის შესახებ. ეს გახლდათ ვაჟა-ფშაველას მიერ თარგმნილი შილერის „ორლენელი ქალწული“. საყოველთაოდ ცნობილია თუ რა პატივს სცემდა ილია ვაჟა-ფშაველას დიდ ნიჭს, მიუხედავად ამისა, როცა მას სთხო-

---

<sup>29</sup> სოლომონ ხუციშვილი, ილია ჭავჭავაძის სიტყვები და გამოსვლები, თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული – „ილია ჭავჭავაძე“, 1977, გვ. 107, ს. ლეკიშვილი, რამდენიმე დოკუმენტი ილია ჭავჭავაძის შესახებ, „საისტორიო მოამბე“, 1978, 37-38, გვ. 328.

ვეს გამოეთქვა აზრი ამ თარგმანზე, ილია ჭავჭავაძემ შემდეგი გულითადი პასუხი დანერა:

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას. თარგმანი „ორლენელი ქალისა“ მე არ მომეწონა. უმორჩილესად ვთხოვ გამგეობას, მარტო ჩემს აზრს არ დასჯერდეს, და სხვასაც ვისმე გაასინჯოს თარგმანი.

ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმოდენად პატივსაცემი მწერალია, რომ მის ნაწარმოების დასაფასებლად საკმაო არ არის მარტო ერთი კაცის აზრი და შთაბეჭდილება“ (10, 393).

როგორც პროფესორ ს. ხუციშვილის მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, ვაჟას ეს პიესა ს. ფირცხალავას რჩევით უთარგმნია. ს. ფირცხალავა იგონებს: „ვაჟამ მოკლე დროში შეასრულა თარგმანი და მიუტანა გამგეობას, რომელმაც ი. ჭავჭავაძეს გადასცა გასასინჯად. ილიამ არაფერი დასკვნა არ წარმოადგინა და წიგნი გამოუცემელი დარჩა“. 1904 წელს ს. ფირცხალავას ქართული დრამატული საზოგადოებისათვის შეუთავაზებია პიესა დაედგა, რაზეც თანხმობა მიუღია და მაშინვე მიუწერია მისთვის: „ძმაო ვაჟა, როგორც კი მიიღო ეს წერილი, დაუყოვნებლივ აფრინე შენი „ორლენელი ქალი“. მაგ პიესით გაიხსნება სეზონი – 23 ოქტომბერს. ამიტომ ახლავე უნდა შევეუდგეთ მზადებას. მერე საზოგადოებასაც გამოვაცემინებთ“.

ვაჟასაგან პასუხი ვერ მივიღე, წერილი გაეუმეორე, „სხვამაც მისწერა, ცდას შედეგი არ მოჰყვა რატომღაც და შილერის პიესის ქართულ სცენაზე წარმოდგენა არ მოხერხდა და საბოლოოდ განუხორციელებელი დარჩა“<sup>30</sup>.

1909 წლის შინაგარს ვაჟა-ფშაველა ხელშეკრულებას უდებს ს. ფირცხალავას ამ თარგმანის თაობაზე<sup>31</sup>. 1909 წელს გაზეთ „დროებაში“ თარგმანის ერთი პატარა ნაწილი დაიბეჭდა. მთლიანად იგი თავის სიცოცხლეში ვაჟას არ დაუბეჭდავს<sup>32</sup>.

<sup>30</sup> იხ. სოლომონ ხუციშვილი, „ვაჟა-ფშაველას გარემო“ (სამსონ ფირცხალავას მოგონებათა ფურცლები“). ვაჟა-ფშაველას კაბინეტის მიერ „ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული“. 1966, გვ. 239-240.

<sup>31</sup> ვაჟა-ფშაველა, თხზულებები (ახლად გამოვლენილი ნაწარმოებები), 1979, გვ. 235.

<sup>32</sup> იხ. ვაჟა-ფშაველა, თხზულებები, ტ. 8, გვ. 89-274.

ვაჟა-ფშაველასადმი დიდი პატივისცემისა და, აგრეთვე მატერიალური მხარდაჭერის მიზნით ილია ჭავჭავაძემ ხელმოკლე გენიოსი „ივერიაში“ სამუშაოდ მიიწვია, თუმცა თვითონვე შიშობდა, გაზეთში ყოველდღიური მუშაობა ხელს ხომ არ შეუშლიდა ვაჟა-ფშაველას უმაღლეს მონოდებას, მისი შიში გამართლდა.

როგორც იაკობ მანსვეტაშვილი აგვიწერს, მხოლოდ სამი დღე იმუშავა ვაჟა-ფშაველამ რედაქციაში. იგი ვაჟას აძლევდა გადასაკითხად და გასასწორებლად სხვადასხვა კორექსპონდენციებს, რუსული გაზეთებიდან პატარა წვრილი ამბების თარგმანებს ავალებდა. ერთხელ ი. მანსვეტაშვილს სასწრაფოდ გადასათარგმნი მასალა მიუცია და შემდგომ მოუკითხავს:

– რა ჰქენ, ლუკა გადათარგმნე?

წინ დანერილი ქალაქი ედვა, ვიფიქრე ეს სწორედ ნათარგმნი იქნება-მეთქი და ხელი დავავლე გადასათვალერებლად. დავხედე, – ლექსია.

– ეს რა ამბავია, ლუკა? – ვეკითხები.

თარგმანის სამაგიეროდ ეს ლექსი დავწერე. თარგმანის მაგივრობას გასწევს.

იმავე დღეს ვაჟამ გამომიცხადა, რომ რედაქციას თავს ანებებს: მე აქ მუშაობას ვერ შევძლებო. რედაქციას თათბირი ჰქონდა და ასე გადავწყვიტეთ: მიგვეცა ვაჟასათვის თვეში ხუთი თუმანი, და ვაჟას სამაგიეროდ, ევალებოდა თვეში რაიმე ნაწარმოები უსათაუროდ მოეწოდებინა<sup>33</sup>.

მხატვრული სიტყვის გოლიათი არც მეტოქეობას არ აპირებდა პოეტური დედნების ავტორებთან და არც მონობას ორიგინალის პროზაული ტექსტისადმი. თარგმანებშიაც ჩანს ვაჟას მძლავრი სული, თუმცა თამაზ ჩხენკელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ვაჟა-ფშაველას თარგმანები მკრთალი და ზოგჯერ უსუსური ჩანს მისი ბრწყინვალე პოემებისა და ლექსების ფონზე“<sup>34</sup>.

<sup>33</sup> იაკობ მანსვეტაშვილი, „მოგონებანი ნახული და გაგონილი“, 1936, გვ. 108.

<sup>34</sup> იხ. თბილისის უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტის მიერ მომზადებული „ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული“, 1966, გვ. 314.

ილია ჭავჭავაძის მთარგმნელობითი პრაქტიკა მხოლოდ მხატვრული თარგმანებით არ ამოიწურება. სწორედ წერდა სიმონ ხუნდაძე: „საქართველოს მოამბის“ რედაქცია რაკი თავისი საკუთარი წერილების დაბეჭდვას ვერ ახერხებდა (აკრძალული ჰქონდა პოლიტიკურ საკითხებზე ბეჭდვა), მიმართავდა ისეთი წერილების თარგმნას, რომელიც მის აზრებს შეესაბამებოდა. იბეჭდებოდა ბელინსკისა, დობროლი-უბოვისა, პრუდონის და სხვათა წერილები<sup>35</sup>.

სპეციალისტები ახლა არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობენ, რომ „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული ბევრი ხელმოუწერელი თარგმანი შეიძლება სწორედ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნოდეს<sup>36</sup>. პროფ. ალ. კალანდაძის მტკიცებით, სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია“ ილია ჭავჭავაძის მიერაა თარგმნილი, მეტიც, მას უდავოდ მიაჩნდა, რომ „ი. ჭავჭავაძე იყო სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის“ მთარგმნელი, რედაქტორიცა და რეცენზენტიც“<sup>37</sup>.

ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ ილია რედაქტირებას გაუკეთებდა „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ მრავალ სხვა თარგმანსაც.

შემდგომაც ხომ იგი ამ მხრივ, ბევრს აკეთებდა, გარდა იმისა, რომ თვითონაც თარგმნიდა სხვადასხვა ავტორის ტექსტებს, იგი 1875 წელს სწერდა ვასილ მაჩაბელს: „პეტერბურგში შევხვდი დ. ჩუბინაშვილს და „ჰსთხოვე ჩემ მაგიერ ლაზისტანზე რომ რუსულად ნაწერი აქვს, გამომიგზავნოს, მე თვითონ ვჰსთარგმნი და ისე დავბეჭდავ“ (10, 59). „ივერიის“ 1877 წლის № 14, 15, 16, 17 დაიბეჭდა ეს თარგმანები.

---

<sup>34</sup> იხ. თბილისის უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტის მიერ მომზადებული „ვაჟა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული“, 1966, გვ. 314.

<sup>35</sup> იხ. ს. ხუნდაძე, ილია ჭავჭავაძე და ბატონყმობის საკითხი, „ილია ჭავჭავაძე“, 1939, გვ. 77; აგრეთვე, ვ. გაგოიძე, „საქართველოს მოამბე“, 1956, გვ. 144.

<sup>36</sup> იხ. ვ. ჟვანია, „მართლმსაჯულება და პუბლიცისტიკის ზოგიერთი საკითხი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში“, 1974, გვ. 77.

<sup>37</sup> ალ. კალანდაძე, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, 1978, III, გვ. 74.

## მთარგმნელის, გადმოთარგმნელის შემოქმედებითი თავისუფლების ფარგლები

მხატვრული თარგმანი ილიასათვის ლიტერატურის სრულყოფილებიანი ჟანრია. მხიარულების მომგვრელი ცალკეული მთარგმნელობითი კურობებით როდი აფასებდა იგი მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებელ თარგმანებს.

ორიგინალის ავტორს კი, ვოლტერის სიტყვებით, მთარგმნელი ისე უნდა არჩევდეს, როგორც არჩევენ მეგობარს. თარგმანების წარმატებას ილიაც, უპირველესად ორიგინალის შერჩევას უკავშირებდა, კერძოდ: „სტატიის ამორჩევა გადმოსაღებად არის პირველი და უნარჩინებულესი საქმე, უაზრო სტატიას, თუგინდ ჩინებულადაც იყვეს გადმოთარგმნილი, მაინც არ ექნება ღირსება და ვერაფერს შეჰმატებს ლიტერატურასა ... მთარგმნელი არის თავისუფალი ... სტატიის ამორჩევაში, რომელიც მოეწონება – იმას მოჰკიდებს ხელს ... რაც თვითონ ნაიკითხა კარგი და მშვენიერი სხვა ენაზედა ... სურს თავის მოყვარესაც შეატყობინოს“<sup>38</sup>. სათარგმნი ორიგინალის თვითნებურ და მცდარ შერჩევას უსაყვედურებდა ილია რევაზ ერისთავს: „თუ კაცს რუსულიდგან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წირპლიანს კოზლოვსა, მერე ნეტავ იმის ცუდ პოემებში უცუდესი მანაც არ ამოერჩია თავად ერისთავს“ (3, 12).

უფრო გვიან, 1886 წელს, როდესაც მთარგმნელთა მიერ თეატრისათვის სათარგმნელი ორიგინალების თვითნებურ შერჩევას ეხებოდა, ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ თუკი გადაწყვიტე თარგმანები და გადმოკეთება, სწორედ ისეთი ნაწარმოები უნდა ამოირჩიო, რომელიც „სულის მარგებელიც იყოს და ხორცისაც“, ამიტომ სრულიად უსამართლო იქნებოდა, თარგმანების უხარისხობა დაგვებრალებინა იმისათვის, რომ სხვა ენებზეც არ არის კარგი თხზულებებიო და დამაჯერებლად ასკვნიდა: „სარჩევად ამ შემთხვევაში მე-

<sup>38</sup> იხ. ალ. კალანდაძე, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, 1985, III, გვ. 198.

ტად დიდი და გადაშლილი მოედანია. რუსული, ფრანგული, გერმანული, იტალიური და ინგლისური სათეატრო თხზულებანი იმდენია, რამდენიც კი შესაძლოა ადამიანის ხარბმა გულმა ინატროს და დაიტიოს. თქმა არ უნდა, რომ ამ უზარმაზარ თხზულებათა ხვავში ბევრი კარგია და ბევრიც ცუდი. ჩვენი მთარგმნელი სათოფე ნადირსავით გაისისწვრივებს ხოლმე, ივლის, ივლის და ზედ კი ნაანყდება მარტო ცუდსა, უფერულსა, რომელიც არც სააქაოსია და არც საიქიოსი“ (3, 117).

რასაკვირველია, ნიჭიერი ორიგინალის შერჩევაც ჯერ კიდევ ცოტაა, შეიძლება ისიც „ნაახდინოს“ ცუდმა მთარგმნელმა ისე, რომ ძნელი გამოსარკვევი გახდეს ავტორი „იცნობდა-ღა თავის შვილს“ (3, 123).

მთარგმნელი სხვადასხვა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. ილიას აზრით, „მთარგმნელს უნდა ჰქონდეს შემდგომი ღირსება: უპირველესად მან უნდა იცოდეს ორი ენა ... მეორე – უნდა ჰქონდეს განმედილი გემო და განათლებული გონება“<sup>39</sup>. მას უნდა შეეძლოს მშობლიური ენის მდიდარი რესურსების გამოყენება. ორიგინალის ენის ცოდნას ყველაზე კარგად შეუძლია უზრუნველყოს ორიგინალის ერთგულება, მწერლის სტილის ერთგულება. რასაკვირველია, ეს არ კმარა დედნისეული ჟღერადობით თარგმანებში ნაწარმოების ამეტყველებისათვის, ვინაიდან მშობლიური ენის მოთხოვნათა დაუცველობამ, სხვა ენის ჰიპნოზმა, შეიძლება პოეზიის უკეთესი ყვავილნი „უსულდგმულო, უსურნელო ყვავილებად შეცვალონ“ (3, 8). ეს მაშინ ხდება, როცა თარგმანებში დაშრეტილია შემოქმედებითი სული დედნის ავტორისა. სწორედ ამას საყვედურობდა რევაზ ერისთავს – „ერთი ბენო შებრალება და სიყვარული არა ჰქონია ... არც იმასა, რაც უთარგმნია, არც თავისივე ამორჩეული პოეტიკა, არც ხელოვნებისა, არც თავის მშობლიური ენისა“ (3, 25).

ილია ჭავჭავაძე პოეზიისა და პროზის მრავალი ნაწარმოების მთარგმნელია ქართულ ენაზე. ყველაზე მოკლე, მაგრამ ზუსტ დახასიათებას ილიას მთარგმნელობითი მოღვა-

---

<sup>39</sup> იხ. ქ. ბ. უ. რ. ჯ. ა. ნ. ა. ძ. ე. ი. ჭავჭავაძე და მხატვრული თარგმანი, კრებული „ილია ჭავჭავაძე“, 1977, გვ. 124.

წეობისა, იოსებ გრიშაშვილი გვაცხადებს: „ილია საზოგადოდ კარგი მთარგმნელი იყო. მის მიერ ნათარგმნი ლექსები (პუშკინიდან, ლერმონტოვიდან, ჰეინეიდან, ბაირონიდან) აღსაყვანად გრძნობით და ქართული ენის ჟღერადობით“.

იოსებ გრიშაშვილი მაღალ შეფასებას აძლევს ილიას პროზაულ თარგმანებს, მისი აზრით, „... ილიას მიერ ნათარგმნი „იზა“, შიგ რომ უცხო სახელები არ იყოს, ქართული ნაწარმოები ეგონება მკითხველს“.

აკაკი შანიძის სიტყვებით, ილია ჭავჭავაძე ამ „ნათარგმნი რომანში იძლევა მისაბაძავ ნიმუშს იმისას, თუ როგორ უნდა იქმნეს გადმოქართულებული რომელიმე ნაწარმოები“<sup>40</sup>.

სავსებით სწორია ის განზოგადება, რომ „ილია თარგმანითაც თავისი დროის დიდ საზოგადოებრივ პრობლემებს ემსახურებოდა“<sup>41</sup>.

საავტორო სამართლის თვალსაზრისითაც უაღრესად საყურადღებოა ილიასეული განსხვავება თარგმანისა გადმოკეთებისაგან. ერთიც და მეორეც შემოქმედებაა, თუმცა მათ განმასხვავებელი ნიშნებიც საგრძნობი აქვთ.

მთარგმნელი ვალდებულია უყვარდეს სათარგმნი, ამასთან ერთად, ღრმად იცნობდეს ორიგინალს, ავტორის შემოქმედებით თავისებურებებს, ნაწარმოების შექმნის გარემოსა და ისტორიას. მხოლოდ ამ გზით შეუძლია მას ნაწარმოები თარგმნოს „ისე, როგორც არის, უტყუარად და შეუცვლელად“ (3, 125). „გულმოდგინედ და მსგავსად“ (3, 14). ეს მთარგმნელის უნმინდესი მოვალეობაა. მთარგმნელი უნდა ფაქიზად და ფრთხილად ეკიდებოდეს პირველწყაროს მომხიბვლელობას და სიმშვენიერეს, იჩენდეს პატივისცემას დედნისადმი, მისი აზრისა და მთლიანობისადმი. სწორედ ამიტომ, იგი სამართლიანად საყვედურობდა რევაზ ერისთავს, ორიგინალის ავტორს „თუ არა აქვს, თქვენ რა უფლება გაქვს, რომ სთარგმნით და აზრებსა სცვლით“? (3, 50).

მაშასადამე, მთარგმნელის თავისუფლება უსაზღვრო

<sup>40</sup> აკაკი შ ა ნ ი ძ ე, ილია ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის, თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული – „ილია ჭავჭავაძე“, 1939, გვ. 1.

<sup>41</sup> გ. ა ჩ ე რ ი ლ ა ძ ე, „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები (რეალისტური თარგმანის პრობლემები)“, 1959, გვ. 58.



როდია. თარგმანის წარმატების საიდუმლოებას დედნის ინდივიდუალური ნაკითხვა განსაზღვრავს. ილია ჭავჭავაძე განასხვავებდა თარგმანს თავისუფალი თარგმანისაგან, მიბაძვისაგან, გადმოკეთებისაგან და ამ კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდა თავის შემოქმედებით პრაქტიკაშიც.

ილია ჭავჭავაძე მიიჩნევს, რომ თარგმანისაგან განსხვავებით გადმოკეთების დროს ნაწარმოების აზრი, საგანია აღებული, ხოლო იქ კი, „საცა სხვისა ხასიათი, ზნე-ჩვეულება და ვითარება ცხოვრებისა არ შეგვეფერება, არ გვიხდება, გვეუცხოება, – იქ ჩვენი ხასიათი, ჩვენი ზნე-ჩვეულება, ჩვენის ცხოვრების ვითარება ჩააყენოს. ამით უცხო ხატი სხვისის ცხოვრებისა ცოტად თუ ბევრად ჩვენის ცხოვრების ხატად გარდაიქმნება, და რამდენადაც ეს გარდაქმნა დიდია, იმოდენად ნაშრომი კარგია და მოსაწონი“ (3, 125). გადმომკეთებელმა, ილიას აზრით, რასაკვირველია, მეტი თავისუფლება შეიძლება დაუშვას. ამიტომ იგი „უფრო თვითმოქმედია, ვიდრე მთარგმნელი“, მას უფრო დიდი საგზალი უნდა, უფრო მეტი ცოდნა და ნიჭი, ვიდრე მთარგმნელობასაო, თუმცა მას კარგად ესმის, რომ შემოქმედება მრავალნაზნაგოვანი აქტია და მის ფორმებს შორის სხვაობა ადვილად შესამჩნევი როდია. სწორედ ესაა მიზეზი, რომ „პირდაპირ ნათარგმნი ხშირად „გადმოკეთებულის“ სახელით აგვეტყუება ხოლმე თვალწინ“ (3, 126).

პოეტური მიბაძვა ილია ჭავჭავაძის მთარგმნელობით საქმიანობაში მხოლოდ საბაზია ახალი შემოქმედებითი ნაწარმოების შესაქმნელად.

ილია ჭავჭავაძე „დიდად საპატიო შრომად“ განიხილავდა უცხოური პიესების ქართულად გადმოკეთებას. მას კარგად ესმოდა, რომ სჯობდა ქართულ თეატრს ეროვნული რეპერტუარი ჰქონოდა, მაგრამ რადგან ქართული პიესები არ არსებობდა, იგი ყოველმხრივ ახალისებდა ქართულად ამგვარ სცენურ გადაკეთებებს და ყოველივე ამას რთულ შემოქმედებით სფეროდ განიხილავდა.

ილიას აზრით, „დრამის შექმნა ყველა სხვა პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი – თუნდ ნიჭიერიც – ვერა ჰბედავს ხელი შეჰმართოს“ (3, 186). იგი წუხდა, რომ ჩვენში ეს საქმე მეტად ადვილად არის მიჩ-



ნეული. ცნობილია, რომ თვითონ ილია მეტად იშვიათად ქმნიდა დრამატულ ნაწარმოებებს, მაგრამ ყოველთვის თანხმდებოდა თავისი ნაწარმოებების სცენურ გადაკეთებებზე სხვათა მიერ და არც ერთხელ არ უწუნუნია პროზაული ორიგინალის სხვა ავტორთა მსგავსად ამ გადაკეთებათა ნაკლოვანებებზე. მთლიანად უნდა დავეთანხმოთ იოსებ გრიშაშვილის მტკიცებას, რომ „კაცია ადამიანი“ თავისი უკვდავი დიალოგების წყალობით უფრო ეგუება სცენურ პირობებს“<sup>42</sup>.

ილიას სიცოცხლეში რამდენჯერმე გადააკეთეს სიტყვა-კაზმული მწერლობის ეს შედეგრი.

თვითონ ილიამ ერთადერთხელ გადააკეთა 1881 წელს თავისი პროზაული ნაწარმოები სცენურად და ეს იყო სწორედ „კაცია-ადამიანი?“.

იოსებ გრიშაშვილი აგვიწერს ამ გადაკეთების ისტორიას. სწორედ მან, 1937 წელს, რუსთაველის თეატრის მუზეუმში მიაგნო ილიას ხელით გადანერილ კომედია „მაჭანკლის“ ტექსტს<sup>43</sup>.

ი. გრიშაშვილის სამართლიანი სიტყვებით, ილია ჭავჭავაძემ ეს ერთადერთი გამონაკლისი ახალგაზრდა მსახიობის ნატო გაბუნას დიდი შემოქმედებითი ნიჭის პატივისცემის გამო დაუშვა, ნატო გაბუნამ „თავისი საბენეფისო სცენისთვის გადააკეთებინა „კაცია-ადამიანი“. ეს გადაკეთება ილიამ მხოლოდ ნატოს ეშხით იკისრა“<sup>44</sup>.

აღსანიშნავია, რომ 1892 წელს გამოცემულ თავისი ნაწერების კრებულში ილიას არ შეუტანია პიესა „მაჭანკალი“.

პავლე ინგოროყვას აზრით, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ პიესა ილიას „კაცია-ადამიანის?“ ანარეკლ ორეულად მიაჩნდა, აქვე მკვლევარი სწორად დაასკვნის, რომ „მაინც ილიას გადაჭარბებული სისასტიკე გამოუჩენია, რომ მას ამ პიესის დაბეჭდვა საჭიროდ არ უცვნია“ (2, 601).

---

<sup>42</sup> იოსებ გრიშაშვილი, „ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“, საიუბილეო კრებული „ილია ჭავჭავაძე“, 1939, გვ. 98.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 35.

<sup>44</sup> იოსებ გრიშაშვილი, „ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“, რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის საიუბილეო კრებული, 1957, გვ. 150.

რასაკვირველია, „კაცია-ადამიანი?!“, უკვდავი შედეგური ქართული პროზისა, გაცილებით უფრო ძლიერი ნაწარმოებია, ვიდრე მისი, თვით ავტორისეული გასცენიურება. ამის შესახებ თავიდანვე წერდა მისი პირველი აღმომჩენი იოსებ გრიშაშვილი: „გადავიკითხე ეს პიესა, შევადარეთ მოთხრობას და უნდა ითქვას, რომ ილიას სახელისათვის სუსტი ნაწარმოებია“<sup>45</sup>, თუმცა მასში ცვლილებები და დამატებებიც შეუტანია დედნის ავტორს, რომელსაც შეუზღუდველი უფლება ჰქონდა ამგვარი გადაკეთებისა. ეს ცვლილებები შემოქმედებითი ხასიათისა იყო, როგორც მთლიანად გადაკეთება ნაწარმოებისა. ამიტომ უნდა დავეთანხმეთ იოსებ გრიშაშვილს, რომ „ილიას მრავალფეროვან მოღვაწეობას ამ პიესით ერთი ახალი ხაზიც ემატება“<sup>46</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, ილიას სიცოცხლეშივე მიმართავდნენ მისი ნაწარმოებების სცენურ გადაკეთებას. ამჟამად ხომ ბევრია ამგვარი სცენური და ეკრანული გადაკეთებები. არ იქნებოდა სწორი, გველაპარაკა მათი უმეტესობის მარცხით დამთავრებაზე, თუმცა უფრო ხშირად გადამკეთებელნი (მათ შორის პირველწყაროს ავტორიც) ვერ ამაღლებულან პროზაული მწვერვალის დონეზე, რაც სრულიად არ გვიშლის ხელს, ამ გადაკეთებათა მაღალი მხატვრული დონე აღვნიშნოთ. ილიას ნაწარმოებებზე ჩვენს დროში შექმნილი მხატვრული ქმნილებები ადასტურებენ იმას, რომ ილიას უკვდავი დიალოგები მართლაც შესანიშნავად ეგუება სცენისა და ეკრანის მოთხოვნებს, რაც ახალ მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შექმნის პირობაა.

---

<sup>45</sup> იოსებ გრიშაშვილი, „ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“, საიუბილეო კრებული „ილია ჭავჭავაძე“, 1939, გვ. 97.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 106.

## ფსევდონიმი და ანონიმით დაცული ავტორობა

წაწარმოების ავტორობა მასზე აღნიშნული გვარით დასტურდება. ამასთან ერთად, უძველესი ლიტერატურული ტრადიციითა და თვით საავტორო სამართლით, ავტორს უფლება აქვს გამოსცეს თავისი ნაწარმოები ფსევდონიმით ანდა ანონიმურად.

ლიტერატურის ისტორიაში მრავალ ავტორს პოპულარობა მოუპოვებია არა თავისი ნამდვილი გვარით, არამედ ფსევდონიმით. მრავალი მოტივით ირჩევდნენ ავტორები ფსევდონიმს. საცენზურო კანონმდებლობა ყოველთვის ეჭვის თვალთ უყურებდა ფსევდონიმებით სარგებლობას, რათა ავტორებს არსებული წყობის საწინააღმდეგოდ არ გამოეყენებინათ ეს უფლება.

ილია ჭავჭავაძის დროინდელი კანონმდებლობა ამ საკითხს ისევ პოლიციური სულისკვეთებით არეგულირებდა. ავტორს მართლაც ჰქონდა უფლება, თავისი ნაწარმოები ფსევდონიმით ანდა ანონიმურად გამოეცა, მაგრამ საქმე ამით არ მთავრდებოდა. ამასთან ერთად, საცენზურო წესდების 47-ე მუხლით, ცენზურაში ხელნაწერის ან წიგნის წარდგენის დროს ავტორის შესახებ მისივე თხოვნით შეიძლება არაფერი თქმულიყო, მაგრამ სტამბას ავტორის შესახებ ცნობა უნდა ჰქონოდა<sup>47</sup>.

სხვანაირად ანონიმის (და ფსევდონიმის) გამოყენება იდევენებოდა და ავტორს არ შეეძლო, დარჩენილიყო ინკოგნიტოდ.

პერიოდულ გამოცემათა თითოეულ რედაქციას მასალის ცენზურაში წარდგენის წინ უნდა სცოდნოდა, ვინ არის მისი ავტორი, სასამართლო ორგანოების ანდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად<sup>48</sup>. ასევე, პერიოდული გამოცემის ის რედაქცია, რომელიც გამოდიოდა წინასწარი ცენზურის გაუვლელად, ვალდებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით, ეცნობებინა წო-

<sup>47</sup> Законы о печати, 1899, с. 35.

<sup>48</sup> იქვე, გვ. 78.

დება, სახელი და გვარი ავტორისა, რომელიც იბეჭდებოდა<sup>49</sup>. რასაკვირველია, ყველაფერი ეს სტუდენტობიდანვე კარგად იცის ილია ჭავჭავაძემ. ნიშნეულია ამ მხრივ, მისი წერილი ილია წინამძღვრიშვილისადმი. 1861 წელს ილიამ მას გაუგზავნა სტატია – „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ „შეშლილის“ თარგმანზედ“. ამასთან დაკავშირებით, იგი წერდა: „აი ამ სტატიას გიგზავნი, ჩემი საკუთარია, თუმცა სხვა გვარი აწერია: მე არ მინდა გამოვაჩინო, რომ ეს ჩემი დაწერილია მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. შენც ძალიან შეგეხვეწები, რომ არ გამოაშკარავო არავისთან: იმისათვის არ მინდა, რომ შენ მიუტანო კერესელიძეს ეს სტატია, რადგანაც ის მიხვდება, რომ შენ ჩემის მეტი არავინ გიგზავნის სტატიებსა. ისე უნდა მოიქცე, რომ თითონ რედაქტორს და ცენზორსაც არ შეატყობინო, კანონით იმათ უნდა იცოდნენ, მაგრამ შენ, როგორც იყოს, სხვა მხრით დააჯერე ისინი, რომ მართალია და აზნაური ზუმბერიძე მართალი გვარია და არა მოგონილი“ (10, 23).

ლიტერატურის ისტორია ადასტურებს, რომ ავტორები, ჩვეულებრივ, ყველაზე მეტად ახალგაზრდობის წლებში მართავენ ფსევდონიმებს (ზოგჯერ ანონიმსაც); ეს უფრო ხშირად დამწყებ ავტორებს ეხება.

ილიას ახალგაზრდობის წლებში ფსევდონიმები მხოლოდ ცენზურის თვალის ასახვევად როდი სჭირდებოდა. მას ამ გზით უფრო ეხერხებოდა სიმართლის თქმა.

ილიას სტუდენტობის წლები დიდი შემოქმედებითი მიზანდასახულების ხანა იყო. მას თავიდანვე კარგად ესმოდა ახალი თაობის ისტორიული მოვალეობა. შემდგომში, ილია კვლავ და კვლავ მიმართავს ფსევდონიმებს (იყო მომენტი, როცა ილია ფსევდონიმებს თავის საცოლეს – ო. გურამიშვილსაც არ უმყლავნებდა)<sup>50</sup>, მხოლოდ გვიან და თანდათანობით თვითონვე ხსნის და შიფრავს მათ.

ერთი მაგალითით დავკმაყოფილდებით ამის დასადას-

<sup>49</sup> იქვე, გვ. 79.

<sup>50</sup> იხ. ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, II, გვ. 30.

<sup>50</sup> იხ. ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, II, გვ. 30.

ტურებლად.

1864 წელს იგი კირილე ლორთქიფანიძეს სწერდა: „მაქვს კი ძველი იმისთანა ლექსები, რომელიც ჯერ არ დაბეჭდილა, მათგანს ყველას გამოგიგზავნი. ამას კი გთხოვ: არც ერთ ლექსს ჩემი სახელი არ მიაწერო: ნეტაი ლექსმა ივარგოს, თორემ სახელი რა საჭიროა, თუ ძალიან და ძალიან გინდა, რომ მაგ წიგნში ჩემი სახელიც იყოს, შეგიძლიან თავში საზოგადოდ მოიხსენიო, რომ სხვათაშორის ამ წიგნში ჭავჭავაძის ლექსებიც არის-თქო, და რომელი ლექსია ჭავჭავაძისა თვითეულად და სახელდობრ, ნუ მოახსენებ. ამისთვის მე პატივსადები საბუთი მაქვს“ (10, 25). მოგვინებთ კი, ილია ჭავჭავაძე თანახმაა, გახსნას ფსევდონიმი, ანდა უკვე თავისი გვარი მოაწეროს. 1868 წელს კირილე ლორთქიფანიძე თხოვს მას ნებას „კაცია-ადამიანის?!“ დაბეჭდვისა, პასუხად ილია წერს: „მომიცია სრული ნება დაბეჭდვისა და თუ ძალიან გსურთ ჩემი სახელიც ჩაურთეთ ჯიმშერიძის მაგიერად“ (10, 27). შემდგომ წლებში მისი მხატვრული ნაწარმოებები, როგორც წესი, გამოდის მისივე სახელის (გვარის) ხელმოწერით. აქ ადრინდელი ფსევდონიმი გაშიფრულია.

ფსევდონიმს ზოგჯერ იმისათვის იყენებდა ილია, რომ ნაწარმოები ცენზურის ეშაფოტზე არ აღმოჩენილიყო.

საყურადღებოა, რომ ილიას ლექსი „ბედნიერი ერი“ 1871 წელს გამოქვეყნდა როგორც მიბაძვა იტალიელ პოეტ ჯუსტინსადმი, თუმცა არავითარ მიბაძვას<sup>51</sup> ადგილი არ ჰქონია და ეს ცენზურის თვალის ასახვევად გაკეთდა.

ცალკე დგება ანონიმურად გამოცემული ნაწარმოებთა საკითხი, განსაკუთრებით კი, ამ გზით გამოსული მისი წერილები როგორც რედაქტორისა, როგორც საყურნალო წერილების ავტორისა.

ილიას საყურნალო მოღვაწეობაში ანონიმურობამ ბევრი სიძნელე წარმოშვა. ამ სიძნელეს თვითონ ილია გვისხნის 1886 წელს დანერილ ერთ წერილში, რომ სახელისა და გვა-

---

<sup>51</sup> იხ. ივ. ლოლაშვილი, ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან, 1980, გვ. 64; ზაირა სტურუა, ილია ჭავჭავაძის ერთი ლექსის ისტორიისათვის, „ლიტერატურული საქართველო“, 1987, 24 ივლისი.

რის მოუწერლად (ანონიმურად) გამოქვეყნება იმას გვაფიქრებინებს, რომ „წერილი ან თვითონ რედაქტორისაა, ან მის მიერ თანაგაზიარებული“ (8, 236).

კვლავაც უნდა გაგრძელდეს წარმატებულად დაწყებული კვლევა საჟურნალო მოღვაწეობაში ანონიმურად გამოქვეყნებული წერილების ილიასეული ავტორობის დასადაგენად. ამასთან, ჩვენ მცდარად მიგვაჩნია პროფესორ ალ. კალანდაძის მტკიცება, რომ ილია ჭავჭავაძეს, როგორც „საქართველოს მოამბის“ მთავარ ძალას, უხდებოდა რა ზოგიერთი მასალის სახელდახელოდ მომზადება-დასტამბვა „ნაუცბადევად შექმნილ ამ თხზულებებს შემდგომ თვითონ დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებდა და ეს თხზულებები უავტოროდ დარჩა“. ის, რომ ილია ჭავჭავაძე არ ტოვებდა უყურადღებოდ თავის საჟურნალო მოღვაწეობას, ჩანს 1902-1903 წლებში შედგენილ ავტობიოგრაფიაში: „ბევრი წერილი წერილია კიდევ ჩემ მიერ დაწერილი საპოლიტიკო, საპუბლიცისტო, საკრიტიკო და საპოლემიკო შინაარსისა, აგრეთვე წერილები საპედაგოგო საგნების შესახებ“ (9, 313). მათი ანონიმურობა როდი ნიშნავს, რომ ისინი უავტოროდ დარჩნენ.

შემდგომაც ხომ „ივერიაში“ ბევრი მონინავე წერილია ილიას ხელმოწერლად დაბეჭდილი.

უკიდურესი იშვიათობაა, ილიას მხრივ, მხატვრული ნაწარმოების დაბეჭდვა ანონიმურად, აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ 1871 წლის დეკემბერში დაწერილ ილიას „გამოცანებს“. ამ შესანიშნავ პამფლეტში რეაქციულ ქართველ თავადაზნაურობას ამათრახებს „გამოცანების“ ანონიმური ავტორი. იგი ხელნაწერად ვრცელდებოდა. ილიას ბიოგრაფი გრ. ყიფშიძე აღწერს: „მოეფინა თითქმის მთელს საქართველოს ეს ხელნაწერი საეპიგრამო ლიტერატურა, რომელსაც ბევრნი გატაცებით კითხულობდნენ. სულ ზეპირად სწავლობდნენ, ისე ღრმად სწვდებოდათ გულში, როგორც გამოცანები, ისე პასუხის პასუხი“<sup>52</sup>.

„გამოცანების“ სტამბურად გამოქვეყნება ილიას შეუძლებლად მიაჩნდა. იგი ამის შესახებ სწერდა დავით ერის-

---

<sup>52</sup> ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, მ. გედევანიშვილის გამოცემა, ტ. I, 1914, გვ. XXXVIII.

თავს: „გიგზავნი გამოცანებს, რომ ნაიკითხავ და დააკვირდები, მგონია, მიხვდე, ვინც არიან აღწერილნი. საქმე იმაშია, რომ არავინ – არც შენმა მახლობელმა და არც ჩემმა – არ უნდა იცოდეს, ვისგან არის დაწერილი და ხალხში გავრცელებული. შენ იცი როგორ შეინახავ ჩემს სახელს საიდუმლოდ. დაბეჭდვა მაგ ლექსისა არ იქნება, – ეგ ისე უნდა გავრცელდეს ქალაქში“ (10, 33). ილიას სიცოცხლეში ისინი მართლაც არ დაბეჭდილა.

როგორც პავლე ინგოროყვამ დაადგინა, ილია ჭავჭავაძე სხვადასხვა ფსევდონიმს იყენებდა პოეზიაში, მხატვრულ პროზაში და პუბლიცისტიკაში (1, 400).

ლიტერატურის (მათ შორის, რასაკვირველია, ქართული ლიტერატურის) ისტორია იცნობს სხვადასხვა ავტორის მიერ ერთი საზიარო ფსევდონიმის გამოყენების შემთხვევებს, რასაც შემდგომ მრავალი თავსატეხი გაუჩენია სპეციალისტებისათვის. ამ დროს ნამდვილი ავტორის დადგენა უკიდურესად გაძნელებულია და ამიტომაც ფსევდონიმების გაშიფვრისას, მაქსიმალური სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს. კარგად შენიშნავს ამის თაობაზე იოსებ გრიშაშვილი: „შეცდომისგან არავინ არ არის დაზღვეული, მაგრამ ეს შეცდომები, რომ შევამციროთ და სამუდამოდ აღმოვფხვრათ მათი გამეორება, საჭიროა ხანგრძლივი, დაკვირვებული მიუშაობა და არა ნაუცბათევად დასკვნის გამოტანა. იქნება სჯობდეს სადავო ფსევდონიმი აუხსნელი დავტოვოთ, ვიდრე იგი შეცდომით ამოვხსნათ“<sup>53</sup>.

რასაკვირველია, სიფხიზლე გვმართებს ანონიმურ ნაწარმოებთა მიმართაც. არ არსებობს უნივერსალური ხერხი, რომელიც ნათელს გახდიდა ყველა სადავო საკითხს. ნაწერის სტილისტური ანალიზი არ არის ყოველთვის უტყუარი და საიმედო ხერხი ჭეშმარიტების დასადგენად. მართებულია იოსებ გრიშაშვილის მტკიცება, რომ, მაგალითად, „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძის სტილი და მართლწერა იყო გაბატონებული. გრ. ყიფშიძის, არტ. ახნაზაროვის, სხვა თანამშრომლების მიერ შეთვისებული ენა ძალიან ჰგავდა ილი-

---

<sup>53</sup> იოსებ გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ფსევდონიმების და კრიპტოგრამების ამოხსნისათვის, „მნათობი“, 1969, № 5, გვ. 124.

ას მიერ შემუშავებულ ენას“: ილიამ მართლაც „ივერიის“ რედაქცია „ჟურნალისტთა აღზრდის სკოლად აქცია“<sup>54</sup>.

ამის გარდა, ილიას, როგორც რედაქტორის საჟურნალო მოღვაწეობა, ისე სხვადასხვა პირთან ერთად პუბლიცისტური გამოსვლები ნამდვილ თანაავტორობას ნიშნავდა. ამის შესახებ გვაქვს ი. გოგებაშვილის პირდაპირი მითითებაც (5, 399).

ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციათა ნივთიერი სილატაკე იმითაც აღმოჩნდა საზიანო, რომ, თითქმის, აღარ დაგვრჩა საჰონორარო უწყების ხელნაწერები, რომლითაც მოხერხდებოდა ფსევდონიმებისა ადა ანონიმების გაშიფვრა.

ილია ჭავჭავაძე, როგორც რედაქტორ-გამომცემელი, სხვისი ფსევდონიმების კეთილზმოვანებასა და მოხერხებულობაზე ფიქრობდა. იონა მეუნარგია იგონებს, რომ „ივერიაში“ უნდა დანყებულიყო მის მიერ შეკრებილი ისტორიული და სამწერლობო ნაკვესების ბეჭდვა „ლელოს“ ფსევდონომით. ილიას არ მოსწონებია ეს ფსევდონიმი (სახელწოდება „ნაკვესიც“ ილიას მოგონილი ყოფილა)<sup>55</sup>.

აი, სწორედ ამის გამო სწერდა იგი იონა მეუნარგიას 1885 წლის დეკემბერში: „შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმი: 1. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“, თუმცა გრძელია, მაგრამ შენთვის ზედ გამოჭრილია: 2) „აბედი“, ვითომ ნაკვესმა შენ ცეცხლი მოგიკიდა, როგორც აბედს, და შენ ჩვენ გადმოგვეცი. ეს უკანასკნელი, კარგია, მაგრამ აკაკი წერეთელს საბუთს მისცემს ქართული აბედი რუსულ ინტა-ად გადააქციოს; მაშინ შენ სხვის სადილების მაძებარს გეძახოდა და დაგცინოდა. ორში ერთი ამოირჩიე და ტელეგრამით მაცნობე“ (10, 109-110).

ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ ყოველი უფლება, მათ შორის – უფლება ანონიმით ან ფსევდონომით ნაწარმოების გამოქვეყნებისა, შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული და ავტორის უპასუხისმგებლობას ამართლებდეს. ილია ბეჯითად იცავდა იმას, რომ ფსევდონიმისა და ანონი-

<sup>54</sup> ლადო მინაშვილი, ილია ჭავჭავაძე, 1986, გვ. 23.

<sup>55</sup> იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, 1957, 11, გვ. 35.



მის ამოფარებით არ შეიძლება ადამიანის ღირსების ოდნავი შელახვაც. მეორე მხრივ, ილია უფლებას ფსევდონიმზე იმისათვის იყენებდა, რომ სოციალური უსამართლობის მსხვერპლთ არ ეგრძნოთ შემოქმედებითი უიმედობა. ამ დროს ფსევდონიმის გამოყენება როდი ხდება ლიტერატურული მოდის პატივისცემისათვის.

საინტერესო მოგონება დაგვიტოვა იბ. ვართაგავამ: „ბუნტისათვის“ რამდენიმე სემინარისტი გაურიცხავთ რეაქციულ ხელმძღვანელებს და მათ შორის – იაკობ ცინცაძე. იგი ილიას „ივერიაში“ მიუღია სამუშაოდ. შემდგომ, როცა გაუსახლებიათ თბილისიდან ლენქორანში, ი. ცინცაძე მისულა ილიასთან გამოსამშვიდობებლად. ილიას გულთბილად მიუღია, გაუმხნევებია და უთქვამს: „აზალგაზრდა ხარ, იოლად გადაიტან სასჯელს, სულით ნუ დაეცემი, გადასახლებაშიც წერე, გამოგზავნე წერილები სხვა ფსევდონიმით და ყოველთვის დაგიბეჭდავთ“<sup>56</sup>.

ი. ცინცაძეს (ია ეკალაძეს) პირნათლად შეუსრულებია ილია ჭავჭავაძის ეს რჩევა-დარიგება<sup>57</sup>. ამ გზით ფსევდონიმი ხელს უწყობდა იმას, რომ დამწყები მწერლის შემოქმედებითი რწმენის სათავე არ დაზიანებულყო. სწორედ შემოქმედებითი რწმენის გაღვიძებით ილია ჭავჭავაძეს არაერთი ავტორი შეუძენია ქართული მწერლობისა და ჟურნალისტიკისათვის. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძეს, თავისი გაუტეხელი ნებისყოფით, შეეძლო პირდაპირ ეთქვა დამწყები ავტორისათვის, რომ მას ხელი აელო მწერლობაზე და სხვა მოწოდება ეპოვა. ამ გზითაც მას ბევრი პიროვნების ნიჭისათვის სწორი მიმართულება მიუცია.

---

<sup>56</sup> იბ. ვართაგავამ, მე-19 საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები, 1957, გვ. 120.

<sup>57</sup> ი. ცინცაძის ფსევდონიმების შესახებ იბ. გ. მიქაძე, ფსევდონიმების ლექსიკონი, გვ. 42.

## პირველგამოქვეყნების უფლება

უალრესად საინტერესოა ილია ჭავჭავაძის დაკვირვება ავტორის მიერ ნაწარმოების პირველად გამოქვეყნების უფლებაზე, როგორც მთავარ ელემენტზე საავტორო უფლებისა. ილიასათვის ნათელი იყო, რომ ყველას, ვისაც შეუძლია, უნდა ჰქონდეს უფლება შემოქმედებისა, საბოლოოდ, თავისი ნაწარმოების გამოქვეყნებისა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა და თითოეული აუცილებლად უნდა ბეჭდავდეს თავის ნაწერს, ჩქარობდეს მის გამოქვეყნებას. პირველგამოცემის უფლებას თვითონ ილია დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა.

მართალია, გამოქვეყნების უფლება საავტორო უფლების ცენტრალური ნაწილია, მაგრამ მის ნაჩქარევად, წინდაუხედავად გამოყენებას ზიანი შეუძლია მოუტანოს ნაწარმოების სრულყოფას და თვით ავტორის პრესტიჟსაც.

მხოლოდ ავტორი წყვეტს, მზადაა თუ არა თავისი ნაწარმოები მნიფე ნაყოფის მსგავსად, მოსწყდეს მის კალამს საყოველთაო სახალხოდ გასაცნობად.

ამიტომაც, დღესაც ძალას არ კარგავს ასზე მეტი წლის წინ, 1886 წელს, დაწერილი ილიას თხოვნა-მოწოდება პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთადმი. იგი „ივერიის“ მეთაური წერილის სახითაა. რედაქციას სიძნელეები შექმნია ახალგაზრდა ავტორების მოძალების გამო. ილია იქვე შენიშნავდა, ნუ გვიწყენთო პატარა მეგობრებო პირდაპირ სიტყვას. „პირდაპირი სიტყვა სჯობია ტყუილუბრალო ნაქეზებას“ (3, 90). ილია მათ ღრმა პატივისცემით სწერდა: თქვენ მოგმართავს თქვენი გულითადი მეგობარი და კეთილის მოსურნე, „თუ ღმერთს პოეტობის ნიჭი მოუმაღლებია თქვენთვის, ჩემო პატარა მეგობრებო, ნუ ჩქარობთ მაგის გამოჩენასა. ნუ გეშინიათ, იგი არ მიგემალებათ არსად. იგი თავის დროზედ გამოიხეტეებს, როგორც ანკარა წყარო კლდის გულიდამა, ოღონდ პირველ ხანშივე ნუ მიაკლებთ მაგ უსუსურს მადლს – მეცნიერების ნოყიერ ძუძუსა“ (3, 91). ჯერ ცოდნას, მეცნიერებას უნდა დაეუფლოთ, ვინაიდან მეცნიერების შუქის გარეშე პოეზია აზიზი, მზეთუნახავი ყვავილია, რომელიც მალე ჭკნება, თავის სურნელებას კარ-

გავს – დასძენდა ილია.

მარტო ასაკობრივი ცენზით როდი ზღუდავდა ილია ჭავ-  
ჭავაძე ავტორის მიერ პირველად გამოქვეყნების უფლებას.  
მას არანაკლებ აღელვებდა ის, რომ ბევრს სურვილი უჩნდე-  
ბა კალმის პირველივე ჭაშნიკი გადასცენ დასაბეჭდად, რო-  
ცა ასეთი პირები თამაშობენ და „ნერისა და ბლაჯნის მოუს-  
ვენარი საღერღელ აშლილნი“ (8, 248) ცდილობენ უღირსად  
მწერლის სახელის მითვისებას, მაშინ, როცა თუ ამგვარნი  
პირნი ლიტერატორთა რიგებს გამოაკლდებიან, ეს „არავის  
არ უნდა დარჩეს სანაღვლელად, იმიტომ, რომ ყველგან და  
ყოველ საქმეში მრავალნი არიან ნვეულნი და მხოლოდ მცო-  
რედი რჩეულნი“ (8, 248).

ილია დაუნდობელი სიმართლით წერდა „ცისკრის“ ძვე-  
ლი თაობის ზოგიერთი ავტორ-თანამშრომლის შესახებ:  
სჯობდა კალამს ისინი ხელში არ იღებდნენ და „თუ აიღებ-  
დნენ, მარტო მოკითხვის წიგნების დასაწერადო“ (3, 29).

ილია მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით აღნიშ-  
ნავდა 1861 წელს „ცისკარში“ გამოქვეყნებულ ნაწარმოებ-  
თა თაობაზე: „მადლობელი იყავით „ცისკრის“ რედაქციი-  
სა, რომ თქვენი ლექსები იბეჭდებიან: მადლობელი იყავით,  
რომ „ცისკარი“ ეგრე ცუდია, რომ ყველაფერსა ბეჭდავს,  
თორემ თქვენს ლექსებს დაბეჭდვა არ ეღირსებოდა თავის  
დღეშია“.

ამჟამად, განაგრძობდა ილია, ლიტერატურის წარმო-  
მადგენელი მხოლოდ „ცისკარია“, მაგრამ ნიშნავდა თუ არა  
ეს იმას, რაც ახლა „ცისკარში“ იწერება, საქართველოს ხალ-  
ხის ფიქრია, ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა? და იქვე იძლეო-  
და პასუხს: „არა, ათასჯერ არა. მეც იმიტომ ესე პირდაპირ  
ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბლაჯნის, აღარა  
ბლაჯნოს; რადგანაც იგინი თავის ბლაჯნითა ამდაბლებენ  
ჩვენს ენას. მე იმისათვის ვლაპარაკობ ეგრე სასტიკად, პირ-  
მოუფერებლად, რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც  
თავის ოთახიდგან ფეხს ნუ გამოდგამენ, გარეთ, ლიტერა-  
ტურაში. ამას ვთხოვთ ხალხის სახელითა, ხალხისვე სახე-  
ლის დაცვისათვის!“ (3, 37).

ეს ჭაბუკის სიჯიუტე არ ყოფილა. ამ გზით სურდა ახალ-  
გაზრდა ილიას ბრძოლა აგრესიული უვიცობის აღმოსაფ-

ხვრელად, როცა იგი მოწინააღმდეგეს არწმუნებდა, რომ მათ უმჯობესია „კალამი შეასვენონ“ (3,46) და „ცისკარი“ უკეთეს დღეებს ნახავსო.

თვითონ ილია ჭავჭავაძე ხომ ყმანვილობის გამო არავითარ შეღავათს არ აძლევდა თავის თავს. იგი უდიდესი მომთხოვნელობით ეპყრობოდა პირველად გამოქვეყნების უფლებას. ეს მომთხოვნელობა მარტო მხატვრულ ნაწერებს კი არ ეხებოდა, არამედ პუბლიცისტიკასაც. აქაც, ფილიპე გოგიჩაიშვილის მოწმობით, „ილია არასოდეს არ გაუშვებდა ხელიდან თავის ნაწერს შავად, გადაუნერელს“<sup>58</sup>, ილია, სხვების მიმართ ასე მკაცრი და სასტიკი, განსაკუთრებულ მოთხოვნას უპირველესად საკუთარი ნაწერის მიმართ იჩენდა.

„მამების“ წინააღმდეგ გააფთრებული შეტაკებების დროს ილია ჭავჭავაძეს ყოფნიდა შინაგანი სულიერი ძალები, მოპაექრის მიერ სწორად მინიშნებული შეცდომისათვის საქვეყნოდ ბოდიში მოეხადა (3, 51). ტექსტის ენის სრულყოფას საზღვარი არა აქვს და ილია გულწრფელი იყო, როცა წერდა: „ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ“ (3, 26).

ქართულის მშვენიერი ოსტატის – ილია ზურაბიშვილის სიტყვებით, „ილია თავისადმი მართლაც და ულმობელი იყო, ამის დამმონებელია ილიას კორექტურა მისივე ნაწერებისა. მინახავს არა ერთხელ ეს კორექტურა და უნდა ვთქვა, რომ არც ერთი ტოპოგრაფიული რუკა არ შეედრებოდა მის ნახაზობას. ან როგორ ახერხებდნენ ასოთამწყობნი ამ კორექტურის გასწორებას, პირდაპირ საკვირველია“<sup>59</sup>.

ილიას ეს მომთხოვნელობა მხოლოდ შემორჩენილ კორექტურებში როდი ჩანს. მისი ნაწერების გადარჩენილი ავტოგრაფები, მათი ვარიანტები მჭევრმეტყველურად გვიჩვენებენ „რაოდენი პასუხისმგებლობით ამუშავებდა ი. ჭავჭავაძე არა მარტო ნაწარმოების სიუჟეტს, არამედ ხშირად ყო-

---

<sup>58</sup> ფილიპე გოგიჩაიშვილი, ორი ეპიზოდი ილია ჭავჭავაძისა და ჩემი ნაცნობობის დროიდან, „მნათობი“, 1962, №12, გვ. 179.

<sup>59</sup> ილია ზურაბიშვილი (ელეფთერიძე), წარსულის ანარეკლი (მოგონება ილია ჭავჭავაძეზე) საიუბილეო კრებული „ილია ჭავჭავაძე“, 1939, გვ. 322.

ველ სიტყვას, რომ მკვეთრი სურათი შეექმნა მას და მკითხველში შესაბამისი განცდა გამოენვია“<sup>60</sup>.

ილია ჭავჭავაძეს დღიურები არ დაუტოვებია, რომლებიც გაგვიადვილებდნენ ავტორის შემოქმედების პროცესზე დაკვირვებას, დარჩენილი ავტოგრაფების ვარიანტები ბევრი არა გვაქვს. ილია ჭავჭავაძე არ ეკუთვნოდა იმ ავტორთა რიცხვს, რომელნიც ისწრაფვიან სხვადასხვა მოტივით მოსპონ თავიანთი შავი სამუშაოს კვალი. თავისი შემოქმედების სფეროდან ის საიდუმლოებას არ ქმნიდა. ამიტომ, სამწუხაროა, რომ თანამედროვეებმა ნაკლებ იზრუნეს ილიას ავტოგრაფების სრულად შენახვისათვის, მაგრამ რაც გადარჩენილია, ადასტურებს ავტორის სწრაფვას მხატვრულ სიტყვასთან დაუოკებელი ჭიდილისა და მაინც მის მუდმივ შემოქმედებით უკმაყოფილებას. ფსიქოლოგიური სარჩული ილიას მიერ შექმნილ ნაწარმოებთა დაგვიანებით გამოქვეყნებისა მნიშვნელოვნად ამაში უნდა ვეძიოთ, ეს გულისხმობს გაძლიერებული პასუხისმგებლობის გრძნობას მწერლისა მკითხველის წინაშე, რომელიც განსაკუთრებული გულმხურვალეობით ხვდებოდა მის ნაწერებს. მართებულად შენიშნავდა გრ. კიკნაძე: ილია ჭავჭავაძის სახელი ქართველმა ხალხმა თითქმის გააიგივა თავისთავთან, „ამიტომაც ჰქონდა ილია ჭავჭავაძის ყოველი მოთხრობისა თუ სტატიის გამოქვეყნებას მოვლენის მნიშვნელობა“<sup>61</sup>. ილია ჭავჭავაძე ადრე დაწერილს გვიან აქვეყნებდა. იგი სწორედ იმ ავტორთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც შედარებით სწრაფად წერს, მაგრამ ადვილად ვერ იმეტებს ხელნაწერს დასაბეჭდად. ეს გადახანება შემოქმედებითი პაუზის დრო კი არაა, არამედ დედნის განუხრელი სრულყოფის პერიოდი. ეს დასტურდება ილიას ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან და თანამედროვეთა მოგონებებით.

1864 წელს ილია სწერდა კირილე ლორთქიფანიძეს: „აირისი გამოგზავნა ეხლა შევიძელი: „ქართველის დედას“ არ

<sup>60</sup> მიხეილ ზანდუკელი, ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი ნაწარმოების ახალი ავტოგრაფები, ზემოთ დასახელებული კრებული, გვ. 470.

<sup>61</sup> გრ. კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, 1978, გვ. 175.

გიგზავნი, მიტომ, რომ ვერასგზით ვერ გავასწორე, გაუსწორებლად კი ვერ გამოგიგზავნე იმიტომ, რომ შიგადაშიგ უფრო რიტორიკაა, ვიდრე სხვა რამე“. აქ იგი არ გამოთქვამს საყვედურს ცენზორებისადმი, რომლებმაც „სუნის აღება კარგად იციან“, მაგრამ იქვე აგრძელებს „კაკო ყაჩაღის“ შესახებ, რომ იგი „თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ. თუნდ მანდ მოახერხო და ნების დართვა აილო, აქ მთელ წიგნს ავიკრძალავენ, ეს ნამდვილად ვიცი. მე ბევრი ვეცადე აქაური ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს“ (10, 26). ილია თავის მუშაობას ასე ახასიათებს დუშეთიდან პეტრე უმიკაშვილისადმი გამოგზავნილ წერილში: „დიდი მოსვენება და შეღავათი მინდა, რომ დავწერო რამე და მინამ მე ჩინოვნიკობას თავს არ დავანებებ – ეგ მოსვენება და შეღავათი ჩემთვის სიზმარია, თუ დავიწყე რამე და არაფერმა არ დამიშალა. დაწყობილს მალე შევასრულებ ... ეხლანდელი ჩემი მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოცალეობა არა მაქვს“ (10, 36).

იმავე წელს ნუხილით სწერდა პეტრე უმიკაშვილს: „მწერალს დამოუკიდებლობა უნდა, მწერალს თავისი დრო სულ მას უნდა ეკუთვნოდეს“ (10, 37).

„ქართველის დედაზე“ ილია დიდხანს აგრძელებდა მუშაობას.

1871 წელს პეტრე ნაკაშიძეს სწერდა: „გიგზავნი ხელახლად გადაკეთებულს შენდამი ნაძღვნევს ჩემს „ქართველის დედას“. თუ მოგეწონოს, მიეცი ნიკოლაძეს დასაბეჭდათ“ (10, 32).

„ქართველის დედის“ პირველი ვარიანტი 1860 წელსაა დაწერილი, ბოლო კი 1871 წელს ე. ი. შემოქმედებითი მუშაობა 11 წელი გაგრძელდა. ასევე მდიდარი შემოქმედებითი ისტორია აქვს „გლახის ნაამბობს“, რომელიც ჯერ „კაცია-ადამიანისა?!“ და „კაკო ყაჩაღის“ გამაერთიანებელი ნაწარმოების შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო<sup>62</sup>. პირველად იგი დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით 1859 წელს დაუწყია ილიას, შემდეგ 1862 წელს დაუმუშავებია პირველი ნახე-

<sup>62</sup> იხ. ლ. მ. ნ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი, ილია ჭავჭავაძე, 1986, გვ. 15.

ვარი მოთხრობისა და ეს ნაწილი დაიბეჭდა კიდეც „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში. შემდგომ ილია ინტენსიურად მუშაობს ამ თავის შესანიშნავ პროზაულ ნაწარმოებზე და 14 წლის შემდეგ ამთავრებს მას. 1873 წელს ილია აღნიშნავდა კირილე ლორთქიფანიძისადმი მიწერილ წერილში: „გლახის ნაამბობი დავასრულე და თებერვლისათამდინ გამოგიგზავნი. რაც დაბეჭდილა იმაზედ, თუ არა მეტი, ნაკლები არ გამოვა. დიდი ხანია ეს ნაამბობი გულში მედო და ძლივს მოვიშორე. არ ვიცი როგორ მოგეწონებათ. ზოგიერთი ადგილები მაინც მგონი კარგი უნდა იყოს, მაგრამ რაც არის, ღმერთმა მიჰსცეს, მე ხომ თავიდან მოვიშორე და“ (10, 29).

იმავე წელს ნიკო ნიკოლაძეს სწერდა: „გლახის ნაამბობის გასწორება ფიქრადაც არა მაქვს, როგორც დაბეჭდილია, ისე გადაბეჭდეთ, დეე მაგ პირმშო ძემან ჩემმან ისე იაროს ქვეყანაზე, როგორც თავდაპირველ შობილა. ვისაც არ მოეწონოს გზა აუქციოს“ (10, 43). „გლახის ნაამბობის“ დამამთავრებელი ნაწილი ბუნებრივი გაგრძელებაა პირველისა. შესანიშნავად ამბობს პავლე ინგოროყვა: „მიუხედავად იმისა, რომ პირველი ნაწილი „გლახის ნაამბობისა“ ათი-ცამეტი წლით არის დაცილებული მეორე ნაწილისაგან, მოთხრობას არ ემჩნევა რაიმე ბზარი, არ ახლავს სტილის ელფერის რაიმე სხვაობა, თითქოს მოთხრობის ერთის მიდგომით და ერთის განწყობილებით არის ნაწერი“ (2, 596). ეს არ ეხება ილიას მარტო ამ ნაწარმოებს. იგი დამახასიათებელია ყველა სხვა ნაღვანისათვის, მათ შორის ცენზურის მიერ შეყოვნებულისათვის. არც ერთი მათგანი შემდგომ ავტორის კეთილმყოფელი ჩარხის გაკვრის გარეშე არ გამოსულა. ეს ერთადერთი სიკეთეა, რაც ცენზურის დახანებებს ჰქონდა.

ილიასათვის კარგად იყო ცნობილი, რომ მწერალს ვერ მოვთხოვთ, ყოველთვის იყოს თავისი შემოქმედების მწვერვალზე, მაგრამ პირველგამოქვეყნების უფლება თავისი შესაძლებლობის დონეზე მაინც უნდა შეასრულოს. თანამედროვენი საყვედურს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ „დიეტაზე ამყოფებს თავის მკითხველს ილია წლების განმავლობაში“. ეს საყვედური უმართებულოა. მართლაც, ყოველი მწერალი ინდივიდუალური მოვლენაა, ამიტომ „მთავარია



არა მათი შემოქმედებითი ლაბორატორიის „მონყობილობა“, არამედ ის ლიტერატურული პროდუქცია, რომელიც ამ ლაბორატორიიდან გამოდის. ამ მხრივ კი დიდ ილიას საყვედურს ვერავინ ეტყვის“<sup>63</sup>.

ილია ჭავჭავაძის მიერ მხატვრულ ნაწარმოებთა დაგვიანებით გამოქვეყნების თაობაზე სხვადასხვა ახსნაა ლიტერატურაში, მათ შორის მცდარიც და სადავოც. მაგრამ არის ერთი, რომელიც დაუფარავად ცილისმწამებლურია და შემზარავად უმადური, კერძოდ, ლვარძლიანი მტკიცება, რომ ილია ჭავჭავაძეს ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოებები მაშინ კი არ გამოუქვეყნებია, როცა ეს ყველაზე მეტად საჭირო იყო, არამედ ბატონყმობის გადავარდნიდან ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ<sup>64</sup>. გამონაკლისს აქ, რასაკვირველია, უშვებენ „კაცია-ადამიანის“ მიმართ.

თითქოს ეს შედეგრი არ კმარა ავტორის შეურიგებელი დამოკიდებულების გამოსახატავად ბატონყმობის სისაძაგლის მიმართ. აქ ხომ „ილია ჭავჭავაძე მკაცრსა და სასტიკ სატირას მიჰმართავს, სატირას მოლიერისასა და ვოლტერისას, სატირას, რომელიც დაუნდობლად ჰკიცხავს და მიწასთან ასწორებს ყოველს, რომელსაც დაუმახინჯებია და შეურცხვენია წმინდა სახელი ადამიანისა“<sup>65</sup>. გადაჭრით უნდა ითქვას – ილიას დასრულებული ანტიბატონყმური მხატვრული ნაწარმოებები თავის დროზე ვერ დაიბეჭდა იმიტომ, რომ ამას საშინელი ძალით წინ აღუდგნენ აზრის ჯალათები – ცენზორები. ისიც ვთქვათ, ცენზურული ტერორი საწერ მაგიდასთანაც ხომ თავს ედგა ავტორის კალამს ყოველი სტრიქონის წერისას. აქ ახალგაზრდა ილიას დანყებული ნაწარმოებები სრულ უშიშროებას და შეურიგებლობას ამჟღავნებენ ბატონყმობის მიმართ. ის სულთამხუთავი ატმოსფერო, რაც ცენზურამ შექმნა, როგორც ილია ჭავჭავაძის შემოქმედების, ისე მისი რედაქტორობით გამოსული

<sup>63</sup> მ. დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი, ი. მ. მეუნარგია – ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა მკვლევარი, 1983, გვ. 161.

<sup>64</sup> იხ. მაგალითად, იოსებ ბოცვაძე, ილია ჭავჭავაძე რევოლუციამდე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, 1877, გვ. 176-177.

<sup>65</sup> კ. ა ბ ა შ ი ძ ე, ეტიუდები, 1911, 1, გვ. 231.



„ივერიის“ გარშემო საკმაო სისრულითაა შესწავლილი<sup>66</sup>.

მართლაც ხდებოდა ისე, რომ ილიას გვერდ-გვერდ უნდა გამოეგლიჯა ნაწარმოები ცენზურის ხელიდან, უნდა დაეცვა სრულიად უწყინარი სიტყვებიც<sup>67</sup>. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ილიას ნაწარმოებთა დაგვიანებით გამოქვეყნებას ამასთან ერთად სხვა მიზეზიც ჰქონდა. აქ ერთმანეთს ენასკვებოდა ცენზურის ტერორი და ავტორისეული სიფრთხილე, ამ თვალსაზრისით, ბევრ რამეს გვიხსნის ნაწარმოებთა შემოქმედებითი ისტორია.

აქ პირველ რიგში ვგულისხმობთ პოემა „აჩრდილს“.

ეს პოემა ილიამ ოცდაერთი წლის სტუდენტმა დაწერა ჯერ კიდევ 1858 წელს. მისი ნაწყვეტი „ცისკარში“ 1859 წელს იბეჭდება. ამ წელს იქმნება „აჩრდილის“ მეორე ვარიანტი, მესამე ვარიანტი – 1872 წელს, ხოლო საბოლოოდ გაიმართა 1872-1881 წლებში, ე. ი. ილიამ იგი 44 წლისამ დაასრულა უკვე „შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში“<sup>68</sup>. გადაჭარბება ილიას შემოქმედების გამოჩენილი მკვლევრის პავლე ინგოროყვას შემდეგ მტკიცებაში: „ცენზურის წყალობით ჩვენ დღეს არა გვაქვს „აჩრდილის“ სრული ტექსტი. პოემის 22 და 23 თავები დაკარგულია, „აჩრდილის“ ბოლო რედაქციის პირველნაწერი ავტოგრაფები არ შენახულა, ხოლო ნაბეჭდ ტექსტში ეს ორი თავი ... ამოშლილია ცენზურის მიერ. რას შეიცავდა „აჩრდილის“ ეს ორი დაკარგული თავი, ამის შესახებ არავითარი პირდაპირი ცნობა არ შენახულა“<sup>69</sup>.

<sup>66</sup> პაატა გუგუშვილი, „ივერია“ ცენზურის რკალში (1877-1887), თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული „ილია ჭავჭავაძე“, 1939, გვ. 202-229.

<sup>67</sup> ასე, 1889 წლის ოქტომბერში ილია წერდა რაფიელ ერისთავს, როგორც ცენზორს: „თქვენი ჭირიმიე, კნიაზო რაფიელ, ამ სტრიქონს ნუ ამოშლით. Многоя лета ნუთუ აკრძალული სიტყვაა? გეფიცებით ამ ლექსს ნაუმლელად თვითონ ლუკა სტეფანისძეც კი (ისარლიშვილი – ს.ჯ.) დაუბრკოლებლივ გაუშვებდა. თქვენი ჭირიმიე, ლექსს ნუ ნაახდენთ, პასუხის გება ჩემი იყოს, თუ ვინმე რამ შეჰნიშნოს“ (10, 87).

<sup>68</sup> იხ. ლადო მინაშვილი, „ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ შემოქმედებითი ისტორიისათვის“, თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული „ილია ჭავჭავაძე“, 1977, გვ. 74, 90.

<sup>69</sup> პავლე ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძე, ნარკვევი, 1957, გვ. 115.

„აჩრდილის“ ასე დაგვიანებით დაბეჭდვა მარტო ცენზურის<sup>70</sup> ბრალი როდია. თვითონ ილია 1872 წელს დავით ერისთავისადმი გაგზავნილ წერილში ცენზურის მიმართ კი არ გამოთქვამს საყვედურს, არამედ მიუთითებს გულწრფელ შემოქმედებით უკმაყოფილებაზე: „მე არაფერს არა ვნერ, ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულის ნაწილზედ გაქირ ვირსავით შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ველარ წავდგი. არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ ამ „აჩრდილს“ თავი დავანებო მეტეი ...“ (10. 34). ცენზურის მაკრატელს ვერ დავაბრალებთ, რომ მან დაკარგა პოემის ოცდამეორე და ოცდამესამე თავები<sup>71</sup>. ჩვენი აზრით, სწორია გ. ჯიბლაძის მტკიცება, რომ ილიას არ დაუნერია ეს თავები, რადგან ჩვენს ისტორიაში ხალხი არ არის წარმოჩენილი მთელი მისი ძლიერებით და სწორედ ამან ააღებინა ხელი პოემის ავტორს მათ დაწერაზე<sup>72</sup>.

გედევანიშვილისეული გამოცემის წინასიტყვაობაში კიტა აბაშიძე აღნიშნავდა: „22-23 თავი, რომელნიც არ არიან დაბეჭდილი, ვერსად ვერ ვიპოვეთ და ვერ აღვადგინეთ“<sup>73</sup>. ყოველ შემთხვევაში ამის ახსნას იგი ცენზურის მოქმედებაში არ ეძებს. ეს საკვებით სწორი გზაა, ვინაიდან არ არის ვარიანტები ავტოგრაფებში, რომ მიუთითებდეს მის არსებობაზე. ამასვე ადასტურებს ავტოგრაფების გვერდების თანმიმდევრობა. ჩვენ არც ერთი სხვა შემთხვევაც არ ვიცით, რომ ცენზურას ილიას რომელიმე ნაწარმოების მთელი თავი მოესპოს, მით უფრო იმ ნაწარმოებისა, რომლის სრულყოფას ილიამ თითქმის 23 წელი შეაღია. ცენზურისათვის გვერდის ავლას ილია ითვალისწინებდა „აჩრდილის“ ბეჭდვის წინ. გავიხსენოთ, 1873 წელს იგი სწერდა ნიკო ნი-

---

<sup>70</sup> 1891 წლის 16 ოქტომბერს ცენზურამ აკრძალა პოემა „აჩრდილიდან“ ნაწყვეტის რუსული თარგმანები (იხ. ა. იოვიძე, „ილია ჭავჭავაძე“ დოკუმენტური მასალები, „საისტორიო მოამბე“, 1947, გვ. 232-233).

<sup>71</sup> პავლე ინგოროყვა ერთადერთი როდია, რომელიც ცენზურის ბრალს მიაწერს „აჩრდილის“ ორი თავის დაკარგვას. მსგავს შეხედულებას შემდგომაც გამოთქვამენ. იხ. ი. ბოცვაძე, ილია ჭავჭავაძე რევოლუციამდელ ქართულ კრიტიკაში, 1977, გვ. 177.

<sup>72</sup> გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, 1966, გვ. 286.

<sup>73</sup> იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, მ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914, ტ. 1, გვ. XX.

კოლაძეს: „ჩემი აჩრდილის პირველ ნაწილს გიგზანვი, თუ მოგეწონოთ სრულად დაბეჭდეთ. ვიცი, რომ მე-16 ხანის უკანასკნელ ოთხ სტრიქონს ცენზორი ამოშლის, ისევ ისა ჰსჯობია ჩვენ წინადავე დავასწროთ, რომ სხვაზე მაინც არ აღელდეს“ (10, 44). როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია „აჩრდილის“ მხოლოდ პირველ ნაწილზე. იმავე წელს იგი სწერდა კირილე ლორთქიფანიძეს: „თუ ეს ლექსები არ მოგეწონოს, უმიკოვს ჩემი „აჩრდილი“ აქვს, ახლადგადაკეთებული, იქიდან მე-7, 8 და მე-9 მუხლი დაბეჭდეთ იმ სათაურით, როგორც ადრე იყო დაბეჭდილი კრებულში“ (10, 30).

ილია ჭავჭავაძე პრინციპული მეზრძოლი იყო ცენზურის მარნუხების წინააღმდეგ და მიუხედავად იძულებითი დათმობისა, არც ერთხელ არ უღალატია 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ გაკეთებულ განცხადება-ფიცისათვის:

„... თუმცა გზა გახიდილი გვექონდა, მაგრამ გულწრფელად და გაბედვით ვიტყვით, რომ სხვას მოსაწონად არც ერთის ჩვენის გულითადის აზრისათვის არ გვიღალატინია, სხვის მოსაფერებლად არც ერთი გრძნობა არ გაგვიყიდნია. რომელიმე ანგარიშისათვის ყალბი ვერცხლად არ გაგვიყვანია. ჩვენ დავჩუმებულვართ და სვინდისისათვის კი არ გვიღალატინია, როგორც გონება ჩვენი ჰსჭრიდა, როგორც გული გვითხრობდა, ისე ვლაპარაკობდით, როცა კი შეგვეძლო და კვლავაც ისე მოვიქცევით, თუნდ რომ ამით ჩვენს ჟურნალს ბოლო მოეღოს“<sup>74</sup>. ამ სიტყვების ერთგული ილია ჭავჭავაძე დაეთანხმებოდა კი თავისი პოემის გამოქვეყნებას ისე, რომ მასში ორი თავი ამოგლეჯილი ყოფილიყო. 1861 წელს, როცა ილია წინამძღვრიშვილს სწერდა: „ჩემი აჩრდილი და ხაჯი-აბრეკი რა ყოფაში არიანო“ (10,24), მას გადაწყვეტილი ჰქონდა, „აჩრდილის“ მთლიანად დაბეჭდვა, მაგრამ მაშინ ცენზურამ არ გაუშვა<sup>75</sup>. 1859 წელს ილიას ხელით გადათეთრებული ამ ვარი-

<sup>74</sup> „საქართველოს მოამბე“, 1863, №11, გვ.1.

<sup>75</sup> საინტერესოა ნ. ნიკოლაძის მოგონება ცენზურისა და ილიას დამოკიდებულების შესახებ. იხ. მ. გაფრინდაშვილი, ეროვნული და კლასობრივი ილია ჭავჭავაძის განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიული და უტოპიურ-სოციალისტურ მსოფლმხედველობაში, ისტორიოგრაფიულ-მეთოდოლოგიური ნარკვევი, 1987, გვ. 15.

ანტიის მიხედვით, პავლე ინგოროყვას სწორი შენიშვნით, შეუძლებელია დაკარგული თავების აღდგენა (1, 372). ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეუძლებელია ახალი მასალების აღმოჩენა, ვინაიდან, საზოგადოდ, არ არსებობდა ისინი. ავტორის მიერ დასაბუთებული ტექსტისადმი განსაკუთრებული მომთხოვნელობა ილია ჭავჭავაძეს იმ მწერალთა რიცხვში აქცევდა, რომელიც ასე ძნელად ელევა თავის ხელნაწერს. ამ ფსიქოლოგიური ბარიერის შესახებ საინტერესო მოგონება დაგვიტოვა იაკობ მანსვეტაშვილმა.

მას ილიასათვის უთხოვია საყმანვილო ჟურნალ „ჯეჯილისათვის“ რაიმე ლექსი გადაეცა: როგორც იქნა, ილია შეპირებია. „მთელი თვე მომიხდა უკან დევნა, მინამ ილია გაბედავდა თავის დანაპირების შესრულებას“. ეს იყო ილიას ერთ-ერთი უკანასკნელი ლექსი „ბაზალეთის ტბა“. ი. მანსვეტაშვილი აღწერს იმ კმაყოფილებას, როგორითაც მკითხველი შეხვდა მის გამოქვეყნებას. იგი აგრძელებს: „ილიას ვუჩვენე დაბეჭდილი ლექსი და ვკითხე, ხომ ლამაზი არის-მეთქი? თანაც დავუმატე: ესე გამოქვეყნებული არა სჯობს, ვიდრე უჯრაში მაგრად ჩამალული-მეთქი.“

ილიამ ამაზე ასე თავისებურად მიპასუხა:

– რა გითხრათ? მანამ ლექსი ჩემთან არის – ჩემი მგონია, მახარებს, და რაკი დაიბეჭდება, საქვეყნოდ გახდება, ისეთს გრძნობას განვიცდი, თითქოს გულიდან საყვარელი ღვიძლი შვილი მომგლიჯესო“. ამ დროს შვიდი წელი მაინც იყო გასული „ბაზალეთის ტბის“ დაწერიდან<sup>76</sup>. ი. მანსვეტაშვილის საინტერესო დაკვირვებით, ალბათ, ამ ფსიქოლოგიური თავისებურებებით უნდა აიხსნას, რომ „ილია დიდ ხანს ინახავდა კალთის ქვეშ ამოფარებულს თავის პირმშო შვილებს და მინამ ასაკის ხანში არ შევიდოდნენ, არ იმეტებდა მათ საქვეყნოდ გამოშვებას, როგორც ჩიტი ბუდიდგან არ გამოუშვებს და არ დააფრენს თავის ბარტყებს, ვიდრე მაგარ ფრთებს არ შეისხამენ“<sup>77</sup>. მართლაც, ილია ჭავჭავაძის

<sup>76</sup> იხ. ს. ხ უ რ ც ი ლ ა ვ ა, „ქართული საზოგადოებრივი აზრი და მეფის ცენზურა“, 1980, გვ. 77.

<sup>77</sup> იაკობ მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი, „მოგონებანი, ნახული და გაგონილი“, ლ. ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, 1936, გვ. 115.

დიდი მხატვრული ტილოები ხანგრძლივი შემოქმედებითი შთაგონების ლადარშია გავლილი. მართალია, ბოლო მხატვრული შედეგრი „ოთარაანთ ქვრივი“ მოკლე დროშია დაწერილი და დაწერიდან მომდევნო – 1888 წელსვე გამოქვეყნდა, მაგრამ აქაც ილია ჭავჭავაძის მრავალგზის გადაუწერია მისი ხელნაწერები ამ სიტყვიერი ქანდაკებების საბოლოო სახით ჩამოქნამდე.

რასაკვირველია, მწერალს შეუძლია სრულყოფილ ერთხელ გამოქვეყნებული ტექსტი, მაგრამ ეს არ უნდა იქცეს ადრინდელი პოზიციის მუდმივი გადასინჯვის ჟინად.

ბუნებრივია, მკითხველის პატივისმცემელი ავტორი ვალდებულია, მკვეთრად ასხვავებდეს თავის უფლებას ხელნაწერზე, მათ შორის დასაბუქდად გამზადებულზე და უფლებას გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე.

მართალია, ნაწარმოების გამოქვეყნების საბოლოო გადაწყვეტილებას მარტოოდენ ავტორი იღებს, მაგრამ მხატვრული ნაწარმოების ავტორს, ვიქტორ ჰიუგოს სიტყვებით, „უკვე არა აქვს უფლება რაიმე ნაშალს მას შემდეგ, რაც ნაწარმოები გამოქვეყნებულია. შეუძლია შეიტანოს სტილისტური შესწორებები, მაგრამ ვერ შეიტანს არსებით შესწორებებს. რატომ? იმიტომ, რომ სხვა პირი – საზოგადოება – გახდა მფლობელი მისი ნაწარმოებისა“<sup>78</sup>.

მართლაც გაუზარავი სტილის ავტორი ილია ჭავჭავაძე სწორედ ასეთი პასუხისმგებლობით ეპყრობოდა უკვე გამოქვეყნებული ტექსტის შემდგომ გამოცემას.

---

<sup>78</sup> Виктор Г ю г о, Собрание сочинений в 15 томах, т. 15, с. 676

## ნანარმოების ხელშეუხებლობის უმაღლესი პრინციპი

ნანარმოების ხელშეუხებლობა საავტორო სამართლის უმაღლესი პრინციპია.

ეს ეხება არა მხოლოდ ცოცხალ ავტორთა ნანარმოებებს, არამედ დაცულია გარდაცვლილი ავტორებისა და მათი მემკვიდრეების უფლებათა ხელშეუხებლობა.

ნანარმოების ხელშეუხებლობის პრინციპი ყოველგვარი ვადის გარეშე მოქმედებს და იგი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გაფრთხილების საერთო პროცესის ნაწილია. სწორედ ამიტომ ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა ხელშეუხებლობისათვის, ანუ როგორც თვითონვე წერდა – ტექსტის „სიმართლის აღდგენისათვის“ (10, 95). ამ მიზნით იგი მრავალი ორგანიზაციული ნამოწყების მოთავე იყო. ღირსსაცნობია თუნდაც ერთი ასეთი ფაქტი: 1876 წლის 5 მარტს პროფესორი ალ. ცაგარელი სწერდა ილიას პეტერბურგიდან: „ძალიან კარგი ჰაზრი მოგვევლიათ, ძველი მწერლობის გამოცემის საზოგადოება რომ შეგიდგენიათ. ამაზედ ბევრი ლაპარაკი არ გვინდა, ამის საჭიროება ცხადია ...

მწერ წმინდა ნინოს ცხოვრებაზედ. აქ აკადემიაში არის ქართველ მამათა ცხოვრება, მაგრამ გადაწერა და მანდ გამოგზავნა, მგონი, მეტი შრომა იყოს. ჩემის აზრით, სჯობდა ამავე სტუდენტებისათვის მოგენდოთ დაბეჭდვაცა, რომელთაც ფული გამოუგზავნეთ. ესენი გადასწერდნენ და შეეძლოთ აკადემიის ტიპოგრაფიაში თვითონვე ემუშავნათ, როგორც ასოთამწყობებს დაბეჭდვაში, ამგვარათ უფრო ადვილად გადასწყვეტდნენ თავიანთ ვალს, თუ გამოუბრძიდოთ – ეს არის მათი სურვილი და ჰაზრი“<sup>79</sup>.

ილია ჭავჭავაძე მრავალჯერ ყოფილა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ შექმნილი ქართული სამწერლობო ძეგლების სპეციალური სამეცნიერო კომისიის თავმჯდომარე თუ წევრი და მისი დამსახურება ამ სფეროში, კერძოდ კი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაში,

<sup>79</sup> იხ. გ. გ. ო. ზ. ა. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ალექსანდრე ცაგარელი (1844-1929), „საისტორიო მოამბე“, 1977, №35-36, გვ. 229-230.

კარგადაა შესწავლილი<sup>80</sup>.

ილია იყო 1884 წელს გამოსული „ვისრამიანის“ პირველი გამოცემის ერთ-ერთი რედაქტორი. შემორჩენილია ილიასეული ტექსტი წინასიტყვაობისა<sup>81</sup>, რომელიც გამიზნული იყო ამ „ყოველმხრით შესანიშნავი განძისადმი“, რომელიც არ „ყოფილა დღევანდლამდე დაბეჭდილი სრულად“ (3, 472).

ილია ჭავჭავაძე საავტორო სამართლისადმი დიდ პატივისცემას ამჟღავნებს სხვადასხვა პოპულარული ბროშურის ბეჭდვისას, რომლებშიც კაცობრიობის შვილთა ბრძნული, მოსწრებული აზრებია თავმოყრილი.

ილია ფოლკლორის, ხალხური სიბრძნის მოუღლეელი შემკრები და ასევე ბეჯითი რედაქტორ-გამომცემელი იყო<sup>82</sup>. ამ დარგში მისი ნაყოფიერი მოღვაწეობის ნიმუშად მხოლოდ ერთი წერილიც კმარა, ი. ოქრომჭედლიშვილისათვის გაგზავნილი: ... „მე ამ წელს (1881 წ.–ს.ჯ.) დავბეჭდე ოთხი წიგნი: „ძმური სიტყვა“, რომელიც უკვე მოგართვი, „ნაკვესები“ და „დამაკვირდი“, რომელთაც ამასთანავე გიგზავნი, და „ფშავური ლექსები“, რომელიც ამ დღეებში გამოვა და შენც მოგერთმევა.

არა მგონია დამინუნო, რომ დრო და ფული ამ წიგნებისათვის გამოვიმეტე. კაი გასართობი წიგნებია ჩვენებურ მკითხველებისათვის და ძალიანაც იყიდება“ (10, 95).

გ. ყიფშიძის სანდო ცნობით, „ჯერ კიდევ 1882 წელს შეადგინა ილიამ პროგრამა ზღაპრების, ანდაზა-გამოცანებისა და ხალხურ ზეპირ-სიტყვიერების შეგროვებისათვის“<sup>83</sup>. „საანდაზო ლექსების“ გამოცემისას, იმისათვის, რომ კერ-

<sup>80</sup> იხ. ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, მე-19 საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, 1973, გვ. 73-145.

<sup>81</sup> ამ ტექსტს პირველად მიაგნო და დაბეჭდა ალ. ბარამიძემ, იხ. ალ. ბარამიძე, ილია ჭავჭავაძე და ვისრამიანი, თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული „ილია ჭავჭავაძე“, 1939, გვ. 223-228.

<sup>82</sup> იხ. ქსენიას ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956, წიგნი 1, გვ. 10-30; მ. ჩიქოვანი, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი წყაროები, კრებულში „ფოლკლორი და ლიტერატურა“, 1980, გვ. 5-54.

<sup>83</sup> იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. 1, მ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914, ტ. 5, გვ. IXVI.



ძოდ თქმულს ზოგადის აზრის მნიშვნელობა მისცემოდა, ილია ცვლიდა ზოგიერთ სიტყვას, ამასთან, არ ივინყებდა ავტორზე მითითებას<sup>84</sup>.

თავად ხომ ასე უხვად იყენებდა ხალხურ სიბრძნეს მხატვრულ ნაწერებში. კარგად ამბობს გერონტი ქიქოძე: „ძნელია მეორე ქართველი მწერლის დასახელება, რომელსაც ჩვენი სალიტერატურო ენა ისევე გაემდიდრებინოს გამოთქმებით, ანდაზებით და სიტყვის მასალით, როგორც ეს ილიამ ჰქმნა „ოთარანთ ქვრივში“, „ქვათა ლალადში“<sup>85</sup>.

საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება კერძო წერილების მიმართ. კერძო წერილებს სრულიად საპირისპირო მნიშვნელობა შეუძლიათ ჰქონდეთ და სრულიად განსხვავებული როლი ითამაშონ ლიტერატურის ისტორიაში. კერძოდ, შეიძლება მოგვევლინონ ჭეშმარიტ ლიტერატურულ და ისტორიულ ძეგლებად, ანდა პირიქით, ინტიმურ დეტალებზე მინიშნებებით იქცნენ საჩოთირო ცნობის-მოყვარეობის, ანდა უწმანური სენსაციის საბაზად.

ილია ჭავჭავაძის რწმენით, ყოველ შემთხვევაში ცოცხალი ავტორისა და ადრესატის ნებართვის გარეშე კერძო წერილი არ უნდა იბეჭდებოდეს, ვინაიდან ყველგან და თითოეულისაგან „ადამიანის ღირსება, პატიოსნება, სინდისი ... პატივცემული უნდა იყოს სრულიად ხელშეუხებელი“ (5, 167). ძველი და ახალი თაობის მწვავე პაექრობის დროს „მამების“ წარმომადგენლებმა გამოიყენეს ილიას კერძო წერილი გ. სულხანიშვილისადმი იმის დასამტკიცებლად, რომ „საქართველოს მოამბის“ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე „არა სდგას არასოდეს ერთ აზრზედ“.

ადრესატი გ. სულხანიშვილი აღმფოთებული წერდა ამის გამო: „უფ, ცისკრის რედაქტორო! ეგ წიგნი ჩემთან იყო მონერილი და თქვენ რა უფლება გაქვთ, რომ სხვისაგან და სხვასთან მიწერილს წიგნსა დაუკითხავადა ბეჭდავთ? ... მაგ წიგნით უნდა გეჩვენებინათ, რომ ჭავჭავაძე ერთ აზრზედ არ დგასო, რადგანაც მაშინ მოლაყბეს აქებდაო და ეხლა კი

<sup>84</sup> იხ. ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, „ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობა“, თსუ, „შრომები“, 69, 1958, გვ. 115.

<sup>85</sup> გერონტი ქიქოძე, „ეტიუდები და პორტრეტები“, 1958, გვ. 127.



აძაგებსო. მაგ წიგნის თარიღი რომ გამოგეცხადებინათ, მაშინ თქვენი ცილისშენამება თავისთავად დაირღვევოდა, ამას მიმხვდარხართ, რომ თარიღი წიგნთან არ დაგიბეჭდინათ, თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ მოლაყბის სახელითა ბევრი სხვადასხვა კაცი სწერდა თქვენს ცისკარში ... უფ. ჭავჭავაძე იმ პირველს, ამ ორი სტატიის დამწერს აქებს მაგ წიგნით, რომელსაც თქვენ და თქვენი რაზმი, ისე უხეიროდ ჰბაძავდა, ვერ მიჰბაძა კი“ (10, 475).

აღტაცებას და სიამაყეს განიცდიდა ილია ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებით. თანამედროვეთა ცნობით, ბარათაშვილის ლექსების გაცნობამ შესძრა ახალგაზრდა ილია, „მთელი ერთი კვირა ყმანვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“<sup>86</sup>. არც შემდეგ დაუშურებია ილიას შთაგონებული სიტყვები „მერანის“ ავტორის მიმართ, რომელმაც „კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა“ (3, 219). იგი წერდა: ნიკოლოზ ბარათაშვილი „ობოლი მაგალითია, ობოლი იმიტომ, რომ მარტოდ-მარტოა ჩვენს მწერლობაში, არც წინამორბედი ჰყავს, არც უკან მომდევო“ (3, 221).

ილიას მთელი სიცოცხლე სტანჯავდა ის, რომ ახალგაზრდა გენიოსის უღვთო სიკვდილით ვინ იცის, რამდენი საუუნჯე დამარხა მისმა მშობელმა ხალხმა.

ილია ჭავჭავაძე, ბუნებრივია, უდიდესი ყურადღებით ეკიდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის მემკვიდრეობას, ყოველ სტრიქონს, მის მიერ დატოვებულს. „საქართველოს მოამბე“ დიდი სიამაყით ბეჭდავდა ნ. ბარათაშვილის ლექსებს, რომლებიც პოეტის მამას – მელიტონ ბარათაშვილს გადაუცია ახალგაზრდა რედაქტორისათვის და მართლაც, „საქართველოს მოამბეს“ რომ ათვალიერებთ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს ნიკ. ბარათაშვილი საგანგებოდ ამ ჟურნალისთვისაც წერდა თავის ლექსებს“<sup>87</sup>.

ილია იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის კერძო წერილების გამოქვეყნების ერთ-ერთი თაოსანი. 1872 წლის 9 დეკემბერს იგი

<sup>86</sup> იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი 1, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1935, გვ. 564.

<sup>87</sup> იხ. ალ. კალანდაძე, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, III, 1985, გვ. 162-163. მემკვიდრეობა, წიგნი 1, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1935, გვ. 564.

სწერდა კირილე ლორთქიფანიძეს: „გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგიანობამ, როგორც კარგად შეუძლებლად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ. მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულიად და შეუმცდარად დედანისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს. საკვირველია, რომ ჩვენგან გაკიცხულს ასოებს არც ნიკ. ბარათაშვილი ხმარობს მაგრე რიგად. ჰსჩანს მაგ ასოებს არც ის ეწყობოდა. შესანიშნავია. გთხოვთ მაგ წიგნებს ამისთანა შენიშვნა გაუკეთო: ეს ოთხი წიგნი ნიკ. ბარათაშვილისაგან ერთი და იგივე პირთან მიწერილი, გადმოგვცა ჩვენმა ერთმა პატივცემულმა პირმა, ქართული ენისა და მწერლობის მოყვარულმა. ვისაც ესმის რა გვარი მნიშვნელობა აქვსთ ამგვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულებასა და თვისების ახსნისათვის, – იგი ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მაგ წიგნების გარდმომცემელსაც (10, 28). ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილები ილიასათვის გადაუცია სიძეს, ალექსანდრე საგინაშვილს, რომლის საოჯახო არქივში აღმოჩნდა მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი ბარათაშვილის ოთხი ბარათის დედანი, ამ წერილების დაბეჭდვაზე ნებართვა, როგორც ჩანს, ილიას აუღია იმ პირობით, რომ მათ ამგვარი წინათქმა ექნებოდა. წერილები 1873 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულის“ პირველ ნომერში ილიას ამ შენიშვნასთან ერთად. რედაქციას მალე მიუღია ნ. ბარათაშვილის კიდევ ოთხი წერილი გრ. ორბელიანისადმი, ისინი „კრებულის“ 1873 წლის მესამე ნომერში იბეჭდება. მართლაც, დიდი პოეტის ამ წერილების გამოქვეყნებამ „უდიდესი როლი ითამაშა პოეტის შემოქმედების შემდგომი შესწავლისა და შეფასების საქმეში“<sup>88</sup>.

როგორც ვხედავთ, ავტორის გარდაცვალების შემდეგ მისი ნაწერები (მათ შორის – კერძო წერილები), ილიას აზრით, სრულად და შეუმცდარად უნდა დაბეჭდილიყო, რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ რედაქტორს უნებლიე შეცდომა, კალმის ლაფსუსი არ გაესწორებინა<sup>89</sup>.

<sup>88</sup> დ. ჩ ი კ ვ ი ლ ა ძ ე, ჟურნალი „კრებული“ (1871-1873 წწ.), 1974, გვ.26.

<sup>89</sup> იხ. სოლ. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძის წერილები, „მნათობი“, 1950, №5, გვ. 174.

ილია ჭავჭავაძე პატივისცემითა და სიფრთხილით ეკიდებოდა ცოცხალი ავტორების ტექსტებსაც. ეს მის, როგორც რედაქტორ-გამომცემლის, მოღვაწეობასაც ეხებოდა.

ილიას თანამედროვენი: ი. მანსვეტაშვილი, ი. ზურაბიშვილი, არ. ახნაზაროვი, იპ. ვართაგავა იგონებენ, თუ რა გულმოდგინედ აშალაშინებდა იგი რედაქციაში შემოსულ წერილებს, მაგრამ მას, დახელოვნებულ და განაფულ რედაქტორს, ბოროტად არასდროს გამოუყენებია თავისი მდგომარეობა, რედაქტორობისას, ილია სრულიადაც არ გამოდიოდა იქიდან, თუ როგორ დაწერდა თვითონ იმავე თემაზე, არამედ უდიდეს პატივისცემას ამჟღავნებდა ავტორის ინდივიდუალობის, მისი სტილის მიმართ. არტ. ახნაზაროვის გადმოცემით, ილია – რედაქტორი „ყოველ სიტყვას გვისწორებდა იმ დრომდე, ვიდრე არ დარწმუნდებოდა, რომ ცოტად თუ ბევრად ქართული ენა შეთვისებული გვქონდა. საკვირველი ის იყო, რომ წერილების გასწორების დროს წერის მანერას ან ყაიდას არ შეეხებოდა, რადგან იმ აზრისა იყო, რომ ყოველ მწერალს თავისებური წერის ყაიდა და სტილი უნდა ჰქონდესო“<sup>90</sup>. ავტორობის პატივისცემა გულისხმობს წინასიტყვაობის, ეპიგრაფის, მიძღვნის, ბოლოთქმის ხელშეუხებლობას, რასაც ასეთი სიფრთხილით ახორციელებდა ილია ჭავჭავაძე თავის სარედაქტორო-საგამომცემლო მოღვაწეობისას.

განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა ილია უფლებას სათაურებზე.

ავტორის უფლების დაცვა მისი ნაწერების სათაურზეც ვრცელდება. ავტორს უფლება აქვს, დაიცვას სწორედ მის მიერ მოწონებული სათაური. მარჯვე სათაურის მიგნება ძვირფასი შემოქმედებითი ნიჭია.

ლიტერატურის ისტორიიდან ცნობილია, რომ ზოგჯერ დიდი მწერალიც ადვილად ეთანხმებოდა სხვის მიერ შერჩეულ სათაურს. სათაურმაც ტექსტის გაცნობამდე უნდა მი-

---

<sup>90</sup> არ. ა ხ ნ ა ზ ა რ ო ვ ი, ილია ჭავჭავაძე და მისი დრო (მოგონება), თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული „ილია ჭავჭავაძე“, 1939, გვ. 298.

იზიდოს მკითხველი და ნაკითხვის შემდეგაც უნდა მისცეს გარკვეული მიმართულება.

ზოგჯერ სათაური სხვა ენაზე თარგმნის დროს ძნელად გადადის, თუმცა ამ დროსაც საავტორო სამართალი იცავს მას.

ილიას სხვადასხვა ნაწარმოებთა ავტოგრაფები ადასტურებს, თუ როგორი გულმოდგინებით არჩევდა იგი სათაურებს, ვიდრე საბოლოო სახით ჩამოაყალიბებდა. ილია ხომ სათაურების დიდოსტატიც იყო. მისი „მოთხრობის სათაურები შეესატყვისება ნაწარმოებთა ძირითად აზრს. ისინი ღრმა, სადა და მკაფიოა“<sup>91</sup>.

ილია ჭავჭავაძე აღტაცებული იყო საბა-სულხან ორბელიანის მიერ თავისი იგავ-არაკთა კრებულისათვის სახელწოდების – „სიბრძნე-სიცრუისას“ შერქმევით. მართალია, აღნიშნავს ილია, სიცრუეს სამართლიანად აქვს სახელი წამხდარი, მაგრამ საბა ორბელიანის სიცრუე „უცოდველია, უმნიკველოა, უბოროტოა, უბრყვილოა“ (3, 410). ამასთან, „ზღაპარი, არაკი, იგავი ერთსა და იმავე დროს სიბრძნეც არის და სიცრუე, სიბრძნე სულით, სიცრუე ხორციით, აქ სიცრუე ხატებაა, განსახოვნებაა სიბრძნისა“ (3, 408).

---

<sup>91</sup> დაწვრილებით იხ. ნ. ტ ა ბ ი ძ ე, ილია ჭავჭავაძის მოთხრობათა სათაურები, „წერილები მხატვრულ-პუბლიცისტური ოსტატობის შესახებ“, 1978, გვ. 114-117.

## მორჩენებითი ღიჯამაცია

წლია ჭავჭავაძის მოღვაწეობის დროს, როგორც დავინახეთ, ავტორები მოკლებული იყვნენ გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე ჰონორარს, მაგრამ მათ მაინც ხელს აძლევდათ ნაწარმოების გამოსვლა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ამ ვითარებაში კონტრაფაქცია ავტორებს დიდ ბოროტებად არ მიაჩნდათ.

კონტრაფაქცია ნიშნავს თვითნებური გამოცემის გზით ავტორის უფლების დარღვევას: ესაა აღბეჭდვა და გავრცელება სხვისი უკვე გამოქვეყნებული ნაწარმოებისა, მოგების მიღების მიზნით, ავტორის ინტერესების საწინააღმდეგოდ, ანდა ავტორის უფლების მონაცვლის საზიანოდ და მათთან შეუთანხმებლად.

ლიტერატურული ნორმებისა და ეთიკის დარღვევით გავრცელებულ ნაწარმოებზე კონტრაფაქტორი არ მალავს ნამდვილ ავტორს (სხვანაირად საქმე გვექნებოდა პლაგიატობასთან), ამიტომაც ქართველი ავტორები ხშირად უარს ამბობდნენ თვით სამედიატორო სასამართლოსადმი მიმართვაზეც კი, დარღვეული უფლებების აღსადგენად, სადაც იმდროინდელი კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არა მარტო ავტორისა და მისი უფლების მონაცვლეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება და მათ სასარგებლოდ გაუფრცელებელი ეგ ზემპლარების ჩამორთმევა, არამედ, აგრეთვე, კონტრაქტორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სახელდობრ, ციხეში პატიმრობა ორიდან რვა თვემდე.

ილიას ნაწერებში ჩვენ ვერაფერს ვპოულობთ ქართველ ავტორთა დავების შესახებ კონტრაფაქციის გამო, სამაგიეროდ, ილია ჭავჭავაძე მრავალგზის ეხება მწერლის, ჟურნალისტის, საზოგადოდ ავტორის პასუხისმგებლობას საკუთარი ნაწერის მიმართ და ამასთან დაკავშირებით, იგი იხილავს სამწერლობო – საჟურნალო მოღვაწეობაში ე. წ. დიფამაციის საკითხს, ე. ი. წერილობით სახელის გამტეხი ცნობების გავრცელებას იმის მიუხედავად, სინამდვილეს შეეფერება თუ არა იგი.

მეტად მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის განზოგადე-

ბა: „ლიტერატურას სხვათა შორის ერთი შვილი ჰყავს, რომელიც დღეს ყველა სხვა შვილებზე უფრო გაძლიერებულია, უფრო გავლენიანია. ამ შვილს „ჟურნალ-გაზეთობას“ ეძახიან“ (8, 265).

ილიას აზრით, ჟურნალ-გაზეთს „ხელშეუხებლად ვერ გადაურჩება“ (3, 260) ცხოვრებისეული საჭირობოროტო საკითხები საზოგადოებისა თუ ცალკე პირისა, მაგრამ ყველასა და თითოეულის მიმართ „პატივისცემა დედა-კანონად უნდა ჰქონდეს ყოველს რიგიანს და მართებულს ჟურნალს თუ გაზეთს“. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ კაცი კაცს პირმოთნედ ექცეოდეს. „ეგ პატივისცემა კი არა, ეგ შეურაცხყოფა იქნება, ცუდია, თავისი მეცნიერების შემაგინებელია, ადამიანის მოღალატეა ის ექიმი, რომელიც სწეულს უებარს ნამალს არ ასმევს მარტო იმის გამო, რომ მწარეაო. არა, ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, რომ პირში გულახდილად, ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას, ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი“ (3, 260). ამასთან, ლიტერატორს, ავტორს არ უნდა ნაერთვას უფლება, ჰქონდეს კრიტიკული თვალსაზრისი, როცა მას ზოგად მიზნად ნაკლოვანებათა აღნიშვნა დაუსახავს. ეს იმიტომ, რომ „დანახვა ნაკლისა ხომ ნახევრად გასწორებაა, ცოდნა სატკივარისა ხომ პირველი და თავიდათავი საჭიროებაა განკურნებისათვის“ (9 283).

1886 წლის 8 ოქტომბრის „ივერიის“ ნომერში ილია ჭავჭავაძე გამოთქვამდა უკმაყოფილებას დიფამაციის ბრალდებით გაზეთ „დროების“ რედაქტორ ივანე მაჩაბლის გასამართლებების გამო.

გაზეთმა დაბეჭდა ზღაპრად მოწერილი ამბავი. ამ ამბავში იცნო თავისი თავი ერთ-ერთმა მოხელემ, თუმცა არც დასახელებული იყო იგი და არც რაიმეთი მინიშნებული. მოხელეს რაკი თავისთავი ეცნა და იმ ამბავში მოხსენებული საქმენი და საქციელი ეთაკილნა, ჩაუთვლია, რომ მისი ღირსება და პატივი შელახულია და საჩივარი შეუტანია სასამართლოში. ილია გაკვირვებულია, ბრალდება როგორ უნდა აშენებულიყო ამგვარ უსაფუძვლო საბუთზედ, რომელიც სარჩულად დაუდგა თავის საჩივარს გულგამწყრალმა და

წინდაუხედავმა მოხელემ (ლიტერატურის ისტორიიდან არა ერთი მაგალითია, როცა ნამდვილი დიფამაციის დროს მაღალი თანამდებობის პირს დუმილი უმჯობინებია, რომ შემდგომში არ დარჩენილიყო მასზე მინიშნებული სახელგამტეხი საქციელი).

ილია განსაკუთრებულად აღნიშნავს ყოველი ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვის გარდუვალობას, მით უფრო, თუ ეს საქვეყნოდაა ჩადენილი ბეჭდვითი სიტყვის გზით, მაგრამ წუხს, რომ „მეტისმეტი დაქვეითება იქნება კანონისა, რომ კაცმა ზღაპრად დაწერილი ამბავი თავის-თავზედ მიიღოს და კანონს თხოვოს გამომესარჩილო“. ამგვარი გადაწყვეტა გადაულახავ წინააღმდეგობებს შეუქმნიდა ლიტერატურას, ვინაიდან „განა არის ქვეყანაზედ იმისთანა ნაწერი, საცა კი ადამიანია ხსენებული, რომ გაზვიადებულმა გრძნობამ თაკილობისამ კლანჭი არ გამოჰკრას რასმე და თავისთავზედ არ მიიღოს“ (8, 234). ილია „დროების“ რედაქტორ ივ. მაჩაბელს ამართლებს კიდევ იმიტომ, რომ მას არ შეეძლო ეფიქრა, ვინ მიიღებდა თავის თავზე მოთხრობაში მოყვანილ ამბავს, თუმცა არც გვარი, არც სახელი და არც რამე მინიშნებაა პირისა. ამ დროს რედაქტორ-გამომცემელს გულთმისნობის ნიჭი უნდა ჰქონდესო და დამაჯერებლად დაასკვნის: „კანონი ვერ იკისრებს დაჰსაჯოს კაცი, იმიტომ რომ გულთმისანი არა ხარო“ (8, 234).

თბილისის სასამართლო პალატამ „დროების“ რედაქტორი გაამართლა. ილიას არა მარტო უხარია ეს გადაწყვეტილება, არამედ გაოცებულია, რატომ საქმე სასამართლებამდე არ იქმნა მოსპობილი და საჩივარი უყურადღებოდ დატოვებული.

ილიას მოხდენილი გამოთქმით: „თბილისის სასამართლო პალატას რომ დამნაშავედ ეცნო ივანე მაჩაბელი, როგორც „დროების“ რედაქტორი, ეს თავზარს დასცემდა მთელს ლიტერატურას“, ვინაიდან „მას შემდეგ შეუძლებელი იქნებოდა კაცს რაიმე მოთხრობა, რომანი, კომედია დაენერა, იმიტომ, რომ არც ერთი ამისთანა რამე ისე არ იწერება, რომ ადამიანის საქციელი ან ავად ან კარგად იხსენიებოდეს“ (8, 234-235). მით უფრო, რომ ლიტერატურა იმოდენადაა ქებული, რამდენადაც იგი ახლოა ცხოვრებასთან. ამასთან,

ცხოვრებისეული სიმართლის წერას, ილიას აზრით, არასდროს არ შეიძლება, შეენიროს პიროვნების პატივი და ღირსება.

ილია ჭავჭავაძის, დიდი ქართველი მწერლის, პუბლიცისტის, რედაქტორ-გამომცემლისა და იურისტის, საოცრად მთლიანი, მრავალმხრივი მოღვაწეობა ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვის ღრმა ჰუმანური იდეებითაა გამსჭვალული.

ილიასათვის პიროვნების პატივი და ღირსება უმაღლესი სოციალური ღირებულებანია.

იგი „ადამიანის უძვირფასეს და ხელშეუხებელს კუთვნილებას შეადგენს“ და დაცულია ყველასა და თითოეულის ხელყოფისაგან. „დიდი მოძღვრება ადამიანის ხელშეუხებლობისა“ (9, 303) კაცობრიობის უძვირფასესი მონაპოვარია. აქ იგულისხმება „განა მარტო პოლიციის მიერ ხელშეუხებლობა, არამედ ყოველგვარი ხელშეუხებლობა და, სხვათა შორის, იგიც, როცა სამარცხვინო და სახელგასატენ ბრალს რასმე სდებს ერთი მეორეს ტყუილისა და მართლის წინასწარ გამოუძიებლად და აუნონლად“ (9, 270).

კაცს დაუმსახურებლად ჩრდილი არავინ არ უნდა მიაყენოს, თავმოყვარეობა არ უნდა შეუღახოს, მით უფრო ადამიანის გაქელვის უფლება, არავის არ უნდა ჰქონდეს. „სხვა რა უფლებაა ადამიანისა იმაზედ უცილობელი, იმაზედ სანატრელი, იმაზედ წმინდა და უძვირფასესი, რომ კაცმა კაცისაგან პატივისცემა, ღირსეულად და მართებულად მოქცევა ითხოვოს?“ (3, 260), ეს უკლებლივ ყველა ადამიანს ეხება და არ არსებობს რაიმე გამოწვევა, როცა შეიძლებოდა კაცის ღირსების დამცირება. ეს დაუშვებელია თვით ავაზაკის მიმართაც კი, რომელიც „უკვე წამოსკუპებულია დამნაშავეთა სკამზედ და მსჯავრი მის მიერ შეგინებული სათნოებისა უკვე თავს დასტრიალებს სამართლიან ზღვევისათვის“ (8, 253). სწორედ ამიტომ, მით უმეტეს მართებთ ადამიანებს, უფრო ხილდებოდნენ სხვის ღირსებას, ისევე, როგორც სხვის პატივს, ვიდრე „ცხადი, უცილო, უტყუარი საბუთი არ გვექნება ხელში, რომ იგი მაგ კუთვნილებას სხვის სავენებლად ხმარობს“ (5, 168). უღირსად, უკადრისად ხსენება მართალი კაცისა დაუშვებელია, მაგრამ სიმართლის თქმა-



საც წინდახედულება და გულდინჯობა სჭირდება. ეს ადვილი როდია. სათაკილო ქცევის გულღვარძლიანი უშვერობითა და გამეტებული ჯიქურობით ძაგება ჩვეულებრივ უტიფრობაში გადაიზრდება ხოლმე და მან გამოუსწორებელი ზნეობრივი ტრავმა შეუძლია მიაყენოს პიროვნებას.

„გულდამჯდარად, აუჩქარებლად, მართებულად, გულმტკივნეულად და გულწრფელად ნათქვამი სიტყვა. თუნდაც წუნისა, უფრო მჭრელია, უფრო შემძლებული, ვიდრე ნიშნომოგებული, განინმატებული, გაბოროტებული ავციობითა და წინლაკიანობითა“ (3, 264).

ილიას ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ჩანაწერში ვკითხულობთ: „საბუთიანად ავად ხსენება კაცისა კიდევ შესაწყნარებელია, თუმცა აქაც არაბრიყვი და ზნეზრდილი კაცი კინტოურ ლექსიკონის ხმარებას უნდა ერიდებოდეს“<sup>92</sup>.

მაშასადამე, საბუთიანადაც არ არის ადვილი ავადხსენება კაცისა, იგი მხოლოდ შესაწყნარებელია. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დარწმუნებული ხართ მომხდარი ფაქტის უტყუარობაში, პირის საქციელის დაგმობის აუცილებლობაში და როცა „გამხელა და გაკიცხვა წუნის დადების საზღვრებს არ უნდა გადასცილდეს“ (3, 264).

ილია ჭავჭავაძე კაცობრიობის ყველა დიდ ჰუმანისტთან ერთად აღიარებს, რომ პიროვნების ნებისმიერი ქცევა კეთილსინდისიერი ქცევაა, თუ ჩვენ უცილოდ არა ვართ დარწმუნებული საპირისპიროში: ყოველი ეჭვი უნდა წყდებოდეს დაზარალებულთა სასარგებლოდ და ილია აქვე შესანიშნავად აყალიბებს არაბრალეულობის პრეზუმფციას, როგორც სოციალური სამართლიანობის განხორციელების აუცილებელ პირობას.

„ვარაუდობით განკითხვა ადამიანის სინდისისა და ჩირქის მოცხოვა დიდი უკადრისობაა და, კიდევ ვიტყვი, ადამიანის პიროვნების უფლების სრული უარყოფაა. ეს არ უნდა ეპატიოს არავის, ვინც კი ამაში დამნაშავედ აღმოჩნდება“ (5, 169). მართლაც, ღვარძლიან ეჭვიანობას ერთადერთი – ვნება მოუტანია, მხოლოდ უცილობლად, უტყუარად

---

<sup>92</sup> კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის ფონდი №88 (88, №17-19).

დადგენილი გარემოებანი იძლევა საფუძველს პირის ბრალეულად გამოცხადებისა, სხვანაირად მართო თვითიმედოვნება, რომ, რაც თქვენ უტყუარად გეჩვენება, სინამდვილეა, საკუთარი უცოდველობის გაზვიადებული რწმენა, – სხვადასხვა გაუგებრობისა და გადაცდომის წყაროდ შეიძლება გახდეს. ილია მოუწოდებდა პრესის წარმომადგენლებს: მანამდე ნუ იჩქარებენ გამოქვეყნებას, ვიდრე სრულად არ დარწმუნდებიან აღნიშნულის სინამდვილეშიო. ერთი პერსონალური კაზუსის გამო ილია წერდა: „მინამ საქმე გამოძიებული არ იქნება, ძნელია კაცმა იკისროს ბრალი ვისმე დასდოს“ (8, 67) და კადნიერება იქნება დავასწროთ გამოძიებასო. ეს იმისთვისაა აუცილებელი, რომ ოდნავი ჩირქი არ უნდა მოეცხოს დაუმსახურებლად პიროვნების ღირსებას, რომ „უსამართლო განაჩენმა არავის შეუბღალოს ადამიანური ღირსება და ადამიანური პატივი განზრახ თუ განუზრახველად“ (8, 222).

ილია ჭავჭავაძე, როგორც იურისტი, როგორც რედაქტორ-გამომცემელი, როგორც მწერალი და პუბლიცისტი თავის მოღვაწეობაში განუხრელად იცავდა ამ მოთხოვნას. სწორად აღნიშნავდა იონა მეუნარგია: „როგორც რედაქტორს, ილიას მუდმივ ერთი აზრი აქვს: გაზეთი არავის პირადობას უმართებულოდ არ შეეხოს. ამ მხრით ის დაშინებულია გაზეთ „დროების“ განურჩევლობით. სხვის პირადობის დამცველს თავის გაზეთში ილიას არ უნდა, რომ თვითონ უმართებულოდ ეხსენებინა ვინმე სხვის გაზეთში“<sup>93</sup>.

მას გულს სტკენდა გაზეთის ან ჟურნალის გადაქცევა პიროვნების სახელის წახდენის თავისებურ მანქანად.

იმ დროს, როცა საჭირო და აუცილებელია მწვავე, საპაექრო წერილის გამოქვეყნება, ილია მოუწოდებს თავისი გაზეთის თანამშრომლებს, რომ „ისინი ნუ მიეცემიან თვითიმედოვნებას, რომ მრავალტირაჟიანი ცალებით ჩაახშობენ ადრესატის უსამართლო წყენას და პასუხის გაცემის ინტერესს დაუკარგავენ მას“.

საინტერესო მოგონება დაგვიტოვა „ივერიის“ აქტიურ-

---

<sup>93</sup> იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, 1857, 11, სოლომონ ცაიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. გვ. 40.

მა თანამშრომელმა არტ. ახნაზაროვმა, რომელიც ხშირად წერილებს ჩიორას ფსევდონომით აქვეყნებდა: „ყმანვილებო, გაზეთის ფურცლებზე საპოლემიკო წერილით გამოსვლა იგივე ბრძოლა არის, ომია და ვიდრე ასეთ ომს დაიწყებდეთ, საკამათო საგანი კარგად უნდა შეისწავლოთ, გაითვალისწინოთ თქვენს მონინაალმდეგეს და მოკამათეს რა პასუხის გაცემა შეუძლიან და იმის პასუხსაც იმთავითვე პასუხი მოუმზადეთ. ერთი სიტყვით გარშემო ზარბაზნები უნდა შემოიწყოთ და ბრძოლის ველზე ისე გახვიდეთ“<sup>94</sup>. სხვაწინაირად, პრესის ამოფარებით შეიძლება გამოვიდეს ძმაბიჭური მიკერძოება და უწმინდური ანგარიშსწორება მართალ პიროვნებასთან იმის დავიწყებით, რომ „ადამიანის ურთიერთობა შეუძლებელია დააფუძნო უზნეობის საწყისებზე“ (10, 81).

1905 წელს ილია უწონებდა „ივერიის“ რედაქციას, რომ „პრესა ადამიანის სათელვად არ გაგხდიათ განუკითხველადო“<sup>95</sup>. ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ-პოლემიკური ნიჭი მის მხატვრულ ნაწარმოებებზე არანაკლებ მოწონებას იმსახურებდა მკითხველებში. 1894 წელს „საქართველოს კალენდარში“ გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნულია, რომ ილიას პუბლიცისტიკა მაღალი ღირსების შემცველია, „ეს ღირსება არის განუხაზღვრელი პატივისცემა ადამიანის პიროვნებისა, ხელშეუხებლობა მისი ადამიანური ღირსებისა“<sup>96</sup>.

ილია დაუშვებლად მიიჩნევს პიროვნების პატივისა და ღირსების ხელყოფის შეწყნარებას იმ დროსაც, როცა ცნობების გამავრცელებელი პირი მოქმედებდა ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე, ანდა, როცა შეცდომა მოუვიდა გაუფრთხილებლობით ან კიდევ თვით გულმართლობითაც, მაშასადამე, შეცდომა უნდა გასწორდეს ყველა შემთხვევაში, სულერთია, რა წყაროც არ უნდა ჰქონდეს მას. ამ თვალ-

<sup>94</sup> არტ. ა ხ ნ ა ზ ა რ ო ვ ი, ილია ჭავჭავაძე და მისი დრო (მოგონება), თბილისის უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული „ილია ჭავჭავაძე“, 1939, გვ. 258.

<sup>95</sup> იხ. ფილიძე გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, ორი ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის და ჩემი ნაცნობობის დროიდან. „მნათობი“, 1962, №12, გვ. 177.

<sup>96</sup> იხ. ი. ბ ო ც ვ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძე რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, 1977, გვ. 150.

საზრისით ნიშნეულია ილიას დამოკიდებულება, სოფრომ მგალობლიშვილის ჟურნალისტური შეცდომისადმი<sup>97</sup>.

სოფრომ მგალობლიშვილი ილიას „ივერიის“ მეტად ნაყოფიერი, პატივსაცემი და სასურველი თანამშრომელი იყო. 1887 წლის მაისში მის მიერ „ივერიაში“ გამოქვეყნებულმა კორესპონდენციამ სრულიად დაუმსახურებლად შებლაღა ერთ-ერთი მოქალაქის ღირსება. ამით დიდად შეწუხებული „ივერიის“ რედაქცია 1887 წლის 4 ივლისს აქვეყნებს მეთაურ ნერილს და პრინციპულად ემიჯნება მას, „ერთს საზიზღარ ცოდვაში, ჩვენ, ჩვენდა უნებურად, მონაწილეობა მივიღეთ“.

სოფრომ მგალობლიშვილი მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მისი მხრიდან რაიმე წინასწარი განზრახვა არ ყოფილა. იგი აღშფოთებით წერდა: „როცა „ივერიის“ მეთაური წავიკითხე, საშინლად გამაოცა, გამაოცა იმიტომ, რომ ის რედაქცია, რომელიც ჰქადაგობს მაღალ ზნეობას, ნამუსსა და პატიოსნების დაცვას, მე დანით მკლავს, ისეთ შეურაცხყოფას მაყენებს, რომელსაც სახელი არ მოეძებნება არა რომელსამე ლექსიკონში. ბრალსა მდებთ იმისთანა საქმეში, რომელშიც არც ხორციით და არც სულით არავითარი მე დანაშაული არ მიმიძღვის.“

როგორა ჰგონიათ რედაქციას, განა მე იქნამდის ნამუსზე ხელაღებული, იქნამდის ტვინდაბნეული, იქნამდის დაუნდობელი ვარ, იქნამდის არ ვაფასებ ძმობას, მეგობრობას, ჩემთვის ძვირფასს ადამიანებს, რომ განზრახ ჩავიდენდი იმ საქციელს, რომელშიაც რედაქცია ბრალსა მდებს“<sup>98</sup>.

მაგრამ, ილიას აზრით, არაფრით შეიძლება პიროვნების ღირსების შელახვის გამართლება, მათ შორის, იმათიც, როგორც ცნობის გამავრცელებლის მხრივ განზრახვის არარსებობა. იგი სოფ. მგალობლიშვილს სწერდა: „მე ყოველს ეჭვს გარედ დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამისთანა განზრახვა არა გქონიათ, მაგრამ მით შეცდომა შეცდომად ჰრჩება და

<sup>97</sup> დანვრილებით იხ. სოფრომ მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938, გვ. 133-145.

<sup>98</sup> იხ. ილია ქავჭავაძე, წერილები ი. ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, 1949, სოხუმი, გვ. 174.

მე ჩემდა უწმინდაეს მოვალეობად ვიცან საქვეყნოდ გამო-  
მეცხადებინა, რომ ჩვენს გაზეთს იმ ყოვლად მყრალს პას-  
კვილთან არავითარი კავშირი არა აქვს და თუ ჩვენს გაზეთ-  
ში მისი ხსენებაა, ეგ ჩვენ არცოდნით მოგვივიდა“ (10, 122).

რამდენადაც „განუზრახველი და უნებური დანაშაული“  
მაინც დანაშაულია, როცა სხვისი ღირსება დაუმსახურებლად  
ილახება, სულერთია, მოუფიქრებლობით და არა განგებ, ამ  
ვითარებაში ბოდიშის საქვეყნოდ მოხდა, ილიას ღრმა რწმე-  
ნით, აუცილებელია, რათა „გუმანსაც კი თვისის ბრჭყალით  
არ გაეკანრა წმინდა სახელი გაზეთისა“ (10, 123). ილიას  
ღრმად სჯერა, რომ ამ დროს ავტორი განსაკუთრებულად  
უნდა ფრთხილობდეს, ვინაიდან „ამისთანა შემთხვევაში გა-  
დაჭარბებული სიფრთხილე სჯობია, წინდაუხედავს სითამა-  
მესა“ (10, 123). აქ გულდინჯი გარჩევა იმისათვისაა აუცილე-  
ბელი, რომ ადამიანის პატივი და ღირსება არც ერთ შემთხვე-  
ვაში „ჭორის სათამაშო ბურთად“ არ გახდეს (10, 124).

როგორც ყოველი უფლება, ბეჭდვის თავისუფლებაც,  
ილიას გაგებით, განსაზღვრულ ფარგლებში მოქმედებს,  
რომლის იქით იგი შეიძლება თვითნებობად იქცეს და სრუ-  
ლიად დაუმსახურებლად შეინიროს პიროვნების პატივი და  
ღირსება და შედეგად მართალი პირი აღმოჩნდეს განზილე-  
ბული და შეგინებული, ამიტომ, ერთია, ინფორმაციის მი-  
ღების უფლება, და მეორეა, საჩოთირო ცნობისმოყვარეო-  
ბა: ავტორს, ჟურნალისტს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ის,  
რომ მისი უფლება იქ მთავრდება, სადაც მოქალაქის პირა-  
დი ცხოვრების საიდუმლოება იწყება, რომელიც თვითონ ამ  
პიროვნების ნების გარეშე არ უნდა გააშკარავდეს და არ შე-  
იძლება სათრევი და სალანძლავი გახდეს სხვების წინაშე.

მწერალს, ჟურნალისტს პასუხისმგებლობის გრძნობა არ  
უნდა ღალატობდეს.

ასზე მეტი წლის წინ, 1882 წელს, ილია მწვავე გულისტკი-  
ვილით წერდა: „როცა კაც ზედ ვისმეზედ სჯა და ლაპარაკი  
მოგვინდება ხოლმე, მოქმედებას კი არ ვუსინჯავთ, არა, ამას  
თავს ვანებებთ, სინდისში, გულში ვცდილობთ ჩახედვასა და  
იქაურობას ვუქოთებთ“.

ილიას ყველაზედ მტკივნეულად ის მიაჩნდა, რომ „იმ-  
დროინდელ ჟურნალ-გაზეთებში ამგვარ საქციელს კარი

აქვს ღია და შედეგად ხდება უსაბუთოდ გამოლაშქრება კაც-ზედ და „მისის განზრახვის, სინდისის და გულისნადების თავისებურად ჩხრეკა და აქოთება, ისე გვეადვილება, არამც თუ შინაურს ლაპარაკში, არამედ საჯაროდ ჟურნალ-გაზეთობაში, რომ თითქო ბაკლა და ისპანახი იყოს. ყოველს ჩვენგანს სხვისი გული, სხვისი სინდისი დაუნერელ ქალაქად მიაჩნია და რაც ქეიფში მოუვა, ზედ იმასა სწერს“ (5, 167).

ილიას ბასრი კალამი დაუნდობელია საჩოთირო ცნობის-მოყვარეთა მიმართ, რომელთაც მწვავე სენსაციებით უნდა გააკვირვონ მკითხველი და არაფრად უღირთ ქურდულად შეეპარონ ადამიანს სახლში, ჯაშუშსავით ბოძს უკან აეტუზონ, „აცა იქნება მიზეზი რამ მამეცეს, სამარცხვინო ბოძზედ გავაკრა და თავზედ ლაფი დავასხაო“, 1886 წელს ილია წერდა, „როცა ამგვარი უკადრისი ქცევა ავტორისა აღმოიფხვრება, ჩვენს ეგრეთწოდებულს ლიტერატორს „საკბილო პირიდამ გამოეცვლება და უშვერის წერასა და ბლაჯნისათვის გზა შეეკვრის, თავის უხეირო შვილდისარს ძირს დასდებს, გამოეთხოვება ლიტერატორობას და თავისი ქკუისა, ცოდნის, მართებულობის და ზრდილობის შესაფერს სხვა თანამდებობას და საქმეს მონახავს“ (8, 248).

ყველაზე ცუდია, ილიას აზრით, როცა გამკიცხველი ჩასაფრებელია, ბოროტი სიხარულით ნიშანში იღებს და ჩხრეკს მხოლოდ ცუდს, კარგს განზრახ არ ხედავს – ღვარძლიანი გულისნადების ყოველი ამგვარი გამოვლენა, შხამავს ატმოსფეროს, მხოლოდ სიძულვილსა და ფუჭ აფორიაქებას იწვევს.

ილია მძლავრად ილაშქრებს ბეჭდვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. მის გულმძვინვარებას საზღვარი არა აქვს, როცა პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს „აღვირმიშვებული ვარჯიშობა კალმისა თუ სიტყვისა“. ილიას სწამს, რომ ჭუჭყიანი სიტყვა მის დამწერსა და წარმომთქმელს არცხვენს.

1887 წელს ილია ასე შოლტავდა ამგვარი საქციელის მოყვარულთ: „ჭუჭყიანი სიტყვა-პასუხი, ჭუჭყიანი გულისნადები, რომელიც ზედაბეჭდია ხოლმე ყოველს კაცს, სხვის გასაბიაბურებლად გამოლაშქრებულს, მეტისმეტად ცხადი ნიშანია თვითონ მოლაშქრის უნმინდურობისა და ჭუჭყისა“

(8, 253). ილია ითხოვდა მეპაექრის ღირსების მიმართ პატივისცემით დამოკიდებულებას. სწორედ ამიტომ, 1883 წელს იგი გულმართალი გაკვირვებით კითხულობდა: „არ ვიცი, რათა გვგონია ხოლმე ბრმანი და სულელნი ყოველნი ისინი, ვისზედაც ლაპარაკის ჟინი მოგვივა, ანუ ვისაც დრო და ჟამი საკამათოდ პირში მოგვცემს ხოლმე ... აქ უთანხმოების მიზეზი ერთის ჭკუა კი არ არის და მეორის სისულელე, ერთის თვალხილულობა და მეორის სიბრმავე, არამედ სხვა რამ, რომელსაც პატივისცემა უნდა, ესე იგი ღრმად დაკვირვება გამოჩხრეკა და სხვა არაა“ (5, 312). წინასწარ მოუკითხავად, „კბილის გაუსინჯველად“, გაზეთის ან ჟურნალის მიერ პატიოსანი პიროვნების ლაფში ამოსვრა ბეჭდვის, პრესის თავისუფლება კი არ არის, არამედ, „ბოროტად ხმარებაა იმ გაპატიოსნებულ ძალ-ღონისა, იმ ძლევამოსილ შესაძლებლობისა, რომელიც პრესას სამართლიანად ხელთ უპყრია და რომლის მეოხებით დღეს გვირგვინოსანნიც კი ქედს იხრიან სასოებით და მოწინებით“ (9, 271), წერდა ილია 1905 წელს.

ყოველად დასაძრახისია, როცა გულზე მოწოლილი, საძაგელი სანადელისათვის ასპარეზად პრესაა გამოყენებული. „ლანძღვა-თრევა გოგო-ბიჭების ჩალურშიაც საზიზღარია და გარეთ, მთელი ერის, მთელის ქვეყნის მოედანზედ – რალა თქმა უნდა!“ (3, 263).

ილიამ კარგად იცის, რომ ბეჭდვის თავისუფლების აღვირმეშვებულ უკადრისობასა და უპასუხისმგებლობას მრავალი კონფლიქტი გამოუწვევია და გამოუსწორებელი ზნეობრივი ტრავმები მოჰყოლია, ამიტომაც ბეჭდვის თავისუფლება მისთვის არ არის ღირსების შემლახველი უზნეო მოქმედების თავისუფლება. მით უფრო შეურიგებელია იგი იმ უპასუხისმგებლო ავტორთა მიმართ, რომლებიც ცინიკურად არ მაღავენ თავიანთ უსაქციელობას. სწორედ ამის გამო ამბობდა ილია, რომ „ურცხვობა“ ყველა დანაშაულზე მძიმეაო (8, 21). კრიტიკა, ილიას აზრით, არ უნდა იყოს შეფარული ღვარძლითა და შხამით, ვინაიდან „კრიტიკა მართლმოყვარე გამოძიებელია და მართლგამკითხავი სასწორი“ (4, 80), თვითონ ილია იძლეოდა სწორედ ამის ნიმუშს. კარგად შენიშნავს გრ. კიკნაძე: „ილიას დაცინვა არასდროს



არ გადასულა ნიშნის მოგებასა და ღვარძლიანობაში. ამით ამაღლებულა კიდევ და შეუნარჩუნებია ესთეტიკური ღირებულება ილიას სატირას“<sup>99</sup>. ეს ეხება მის პუბლიცისტკასაც.

უპირველესი მოვალეობა ავტორისა ისაა, რომ ყოველთვის წეროს სიმართლე (ყველაზე საძრახისია, როცა შეგნებულად არ ნახულობს იგი სიმართლეს). ყოველ შემთხვევაში, თვითონ ავტორი ღრმად უნდა იყოს დარწმუნებული, რომ, რასაც წერს, სიმართლეა. იგი თვითონ უნდა ცდილობდეს შეცდომის გასწორებას. შეცდომის ნებაყოფლობითი გასწორება უდიდესი სიკეთეა. ამ გზით შეიძლება გაქარწყლება წყენისა, რომელიც მართლაც გამხდარა მრავალჭირთა ბადე, ბოდის მოხდა ამ დროს ყველაზე საიმედო და მოსაწონი გზაა წყენის შედეგების აღმოფხვრისა.

ილიასათვის უდავოა, რომ დაუმსახურებლად გაკრიტიკებულ პირს, მით უფრო უსამართლოდ განზილებულსა და შეგინებულს, ყოველთვის უნდა ჰქონდეს თავის მართლების შესაძლებლობა, ზეპირად თუ წერილობით – „უარყოფის უფლება“.

ყოველივე ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ კრიტიკული, მით უფრო ღირსების შემლახველი, წერილის ავტორს მოქმედების შეუზღუდველი თავისფლება ჰქონდეს და, რაც მოესურვება ის წეროს, შეუმონმებლად და უსაბუთოდ, წინასწარ მოუკითხავად ლაფში ამოსვაროს ადამიანის პატიოსნება და ღირსება, იმის გამოურკვევლად, ვინ მტყუანია და ვინ მართალი: „რედაქციის კალამი ნიჩაბი ხომ არ არის, რომ აიღოს და ვინც არ ესიამოვნება ლაფი და ტალახი შეახას ან თავისის ან სხვისა ხელით“ (9, 271).

ავტორის ამგვარი უკადრისი ქცევის შემდეგ, აღნიშნავს ილია, პირთ რჩება შესაძლებლობა პასუხის გაცემისა, ისევ ბექდვითვე, მაგრამ მიუტევებელ შეცდომას დავუშვებდით, თუ პრესის ასეთ გულსაკლავ უსაქციელობას ვადიდებდით ბრმად და განუსჯევლად: მართალი კაცი „პასუხის საგებლად მოედანზე გამოსჭიმოს“ (9, 274) იმის იმედით, რომ, თუ უსა-

---

<sup>99</sup> გრ. კ ი კ ნ ა ძ ე, ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, 1978, გვ. 275.



ბუთოდ და უსამართლოდ შებღალულია მისი ღირსება, თვითონვე პრესის გზით საქვეყნოდ თავი იმართლოსო.

ამ ძნელ ვითარებაში თავის მართლების მძიმე ტვირთი არ უნდა დავაკისროთ პატიოსან კაცს.

სამართლისა და ეთიკის მდიდარი ჰუმანისტური სანყისების ღრმა ცოდნით ილია ჭავჭავაძე 1905 წელს წერდა: „ვერ ბრალმდებელს უნდა დაასაბუთებინოთ ბრალდება იმოდენად, რომ დასაჯერი მაინც იყოს, და მას მერმეთ, დიად მხოლოდ და მხოლოდ მას მერმეთ მოეკითხოს ბრალდებულს პასუხი. უიმისოდ ბრალდებულთა სკამზე დასმა ადამიანისა პასუხის საგებლად წაწყმედაა. მიწასთან გასწორებაა, პირველ დამხოზაა იმ საკაცობრიო სამართლისა, მართლმსაჯულებისა, რომელზედაც აშენებულია მთელი ადამიანური ურთიერთობა, მთელი ადამიანური ყოფა-ცხოვრება“. ეს ყოვლად შეუწყნარებელია, დაუშვას ბეჭდვითმა სიტყვამ „თორემ აქ აღვირის მიშვება და სადავეს მიგდება კარის გაღება იმ ერთგვარ უწმინდურებისათვის, რომელსაც „შანტაჟს“ ეძახიან“ (9, 272).

მრავალჯერ თვითონ ილიას წინააღმდეგ თქმულა ცილი, ბეზლი, ლანძღვა, მას მძლავრად უპასუხნია, მაგრამ მან კარგად იცის, რომ ამ არათანაბარ ვითარებაში, როცა „მაბეზღარს ყოველივე იარალი ხელში აქვს და დაბეზღებული კი იარალ-აყრილია“ (8, 8), ძნელია სიმართლის აღდგენა. ამიტომაც წერდა იგი 1905 წელს: „თუ მართალი ხარ, თავი იმართლე ბეჭდვითვეო, ეს აღვილად სათქმელია და ზოგჯერ შეუძლებელი ასასრულებლად“ (9, 274). ამ იმედით წახალისებული ცილისმნამებელი შეიძლება არ მოერიდოს სრულიად მტკნარ სიცრუეს, სახელდახელოდ მოფიქრებულ უწმინდურ გარემოებას, სახელგამტეხ უსაქციელობაზე მითითებას, რომ ნიშანში ამოღებული პირის ზნეობრივ ავლადიდებას ზიანი მიადგეს და შერცხვენის რაიმე კვალი მაინც დარჩეს.

უწმინდური ჟინით დაბეზღებული თვითონ ილია კითხულობს: „განა აქ ტყუილის დამტკიცება შესაძლებელია? რით და რა გზით? ... აქ ცარიელ უარყოფის მეტი ხომ სხვა გზა და ღონე არ არის, რაკი დამტკიცებაზე მიდგა საქმე, უარყოფა განა დამტკიცებაა ბრალდების ტყუილისა? უარყო-

ფა პატიოსან კაცისა და აშას კვრა ქურდისა ერთმანეთისა-  
გან როგორ უნდა გაირჩეს ამისთანა შემთხვევაში?“ (9, 274).  
ილიას ღრმა რწმენით, ბექდვის თავისუფლება მთლიანად  
გამორიცხავს შეცდომების დაშვების გამართლებას. არავის  
არა აქვს უფლება, უსაფუძვლოდ შეერისხოს და ზნეობრი-  
ვად სტანჯოს სხვა ადამიანი.

პირიქით, ილიას სჯერა, რომ ლიტერატურა, „როგორც  
მოღვაწეობა უკეთესთა კაცთა ერთადერთი ფარხმალი უნ-  
და იყოს ადამიანისა, როცა მის ღირსებას, უღირსად, უკად-  
რისად ხელს შეახებენ ხოლმე და მისს ზნეობურს კუთვნი-  
ლებას სტაცებენ. ლიტერატურის მრავალგვარ და რთულ  
მოვალეობათა შორის ეს მოვალეობა ერთი უდიდესთაგა-  
ნია, იმიტომ, რომ ნამუსის შებღალვა, ნამუსის ახდა, კაცის  
სახელის გატეხა ისეთი დიდი უბედურებაა, რომ, თუ არ ზედ-  
მინწევნით გამორკვეულ, უტყუარ საბუთად ლიტერატურამ  
სხვა გზით ამაებში არავის არ უნდა დაუთმოს ერთის იოტი-  
სოდენაცა. ამ მხრით ლიტერატურა ყოველის კაცის პატ-  
რონი უნდა იყოს და მფარველი“ (8, 263).

## პირთა საძიებელი\*

### ა

აბაშიძე კიტა – 48; 50  
ახნაზაროვი არტ. – 39; 59<sub>X3</sub>; 67<sub>X2</sub>

### ბ

ბაირონი – 31  
ბარათაშვილი მელიტონ – 57  
ბარათაშვილი ნიკოლოზ – 11; 57<sub>X6</sub>; 58<sub>X5</sub>  
ბარათაშვილი სულხან – 28<sub>X2</sub>  
ბარამიძე ალ. – 55<sub>X2</sub>  
ბელინსკი – 28  
ბოცვაძე იოსებ – 23; 48; 50; 67; 68  
ბურჯანაძე ქ. – 19; 30

### გ

გაბუნია ნატო – 33<sub>X3</sub>  
გამეზარდაშვილი დ. – 13  
გაფრინდაშვილი მ. – 51  
გაჩეჩილაძე გ. – 31  
გედევანიშვილი მ. – 18; 38; 50; 55  
გოგებაშვილი იაკობ – 14; 40  
გოგიჩაიშვილი ფილიპე – 44<sub>X2</sub>; 67  
გოგოლი – 29  
გოზალიშვილი გ. – 54  
გრიშაშვილი იოსებ – 31<sub>X2</sub>; 33<sub>X5</sub>; 34<sub>X3</sub>; 39<sub>X3</sub>  
გუგუშვილი პაატა – 12; 17; 49  
გურამიშვილი ოლღა – 36

### დ

დათუკიშვილი მ. – 48  
დობროლიუბოვი – 28

### ე

ერისთავი დავით – 50  
ერისთავი რაფიელ – 49  
ერისთავი რევაზ – 25; 29<sub>X2</sub>; 30; 31; 36

---

\* ინდექსი აღნიშნავს შესაბამის გვერდზე გვარის მითითების ჯერადობას

### 3

ვირთაგავა იბ. – 41; 59  
ვოლსკი გ. – 21<sub>x2</sub>  
ვოლტერი – 29; 48

### ზ

ზანდუკელი მიხეილ – 45  
ზურაბიშვილი ილია – 16<sub>x3</sub>; 44<sub>x2</sub>; 59

### თ

თაყაიშვილი ექვთ. – 21<sub>x2</sub>  
თუმანიშვილი გ. – 21  
თხოვრუეცკი – 20; 21<sub>x2</sub>

### ი

იაშვილი პ. – 19  
ინგოროცვა პავლე – 11; 33; 39; 47; 49; 50; 52  
იოვიძე ა. – 50  
ისარლიშვილი – 49

### კ

კალანდაძე ალ. – 12; 28<sub>x2</sub>; 29; 36<sub>x2</sub>; 38; 57  
კანტოროვიჩი ი. – 10<sub>x2</sub>  
კერესელიძე ივ. – 13; 14  
კერესელიძე უფ. – 13; 36  
კიკნაძე გრ. – 45<sub>x2</sub>; 72  
კოზლოვი – 25; 29  
კოტეტიშვილი ვ. – 12

### ლ

ლაისტი არტურ – 24<sub>x3</sub>  
ლასხიშვილი გიორგი – 16  
ლეკიშვილი ს. – 25  
ლეონიძე გიორგი – 37  
ლერმონტოვი – 29; 31  
ლოლაშვილი ივ. – 37  
ლორთქიფანიძე კირილე – 14; 15; 37<sub>x2</sub>; 45; 47; 51; 58

### მ

მათიაშვილი გ. – 21  
მანსვეტაშვილი იაკობ – 27<sub>x3</sub>; 52<sub>x4</sub>; 59  
მაჩაბელი ვასილ – 28  
მაჩაბელი ივანე – 62; 63<sub>x2</sub>  
მახარაძე აპ. – 13

მგალობლიშვილი სოფრომ – 68<sub>x5</sub>  
მენაბდე ლევან – 55; 56  
მესხი სერგეი – 14; 17  
მეუნარგია იონა – 11<sub>x2</sub>; 25<sub>x3</sub>; 40<sub>x3</sub>; 48; 66<sub>x2</sub>  
მინაშვილი ლადო – 40; 46; 49  
მიქაძე გ. – 16; 41  
მოლიერი – 48

## ნ

ნაკაშიძე პეტრე – 46  
ნაცვალაძე დ. – 21  
ნიკოლაძე ნიკო – 13<sub>x2</sub>; 20<sub>x2</sub>; 21<sub>x2</sub>; 46; 47; 50; 51

## ო

ორბელიანი გრ. – 58  
ორბელიანი მაიკო – 58  
ორბელიანი საბა-სულხან – 60<sub>x2</sub>  
ოქრომჭედლიშვილი ი. – 55

## პ

პოლტორაცკი ივ. – 21<sub>x2</sub>  
პრუდონი – 28  
პუშკინი – 29; 31

## ჟ

ჟვანია ვ. – 28

## რ

რუსთაველი – 25<sub>x3</sub>

## ს

საგინაშვილი ალექსანდრე – 58  
სენკევიჩი ჰენრიხ – 19<sub>x2</sub>; 20  
სიხარულიძე ქსენია – 55  
სპასოვიჩი ვ. დ. – 9<sub>x2</sub>  
სტურუა ზაირა – 37  
სულხანიშვილი გ. – 56<sub>x2</sub>

## ტ

ტაბიძე ნოდარ – 14; 60

## უ

უმეკაშვილი პეტრე – 7; 15; 16; 46<sub>x2</sub>  
უმეკოვი – 41; 51  
უორდროპი მარჯორი – 22<sub>x2</sub>; 23<sub>x4</sub>

**ფ**

ფირცხალავა ს. – 26<sub>x5</sub>  
 ფურცელაძე ანტ. – 12<sub>x2</sub>  
 ფშაველა ვაჟა – 25<sub>x2</sub>; 26<sub>x8</sub>; 27<sub>x8</sub>

**ქ**

ქიქოძე გერონტი – 56<sub>x2</sub>

**ყ**

ყიფშიძე გრ. (გ.) – 18; 38; 39; 55

**შ**

შანიძე აკაკი – 31<sub>x2</sub>  
 შილერი – 25; 26

**ჩ**

ჩეშიხინი ვ. – 19; 20  
 ჩიკვილაძე დ. – 58  
 ჩიქოვანი მ. – 55  
 ჩუბინაშვილი დ. – 28  
 ჩხენკელი თამაზ – 27

**ც**

ცაგარელი ალ. – 54<sub>x2</sub>  
 ცაიშვილი სოლომონ – 11; 58; 66  
 ცინცაძე იაკობ – 41<sub>x4</sub>

**წ**

წერეთელი აკაკი – 40  
 წინამძღვრიშვილი ილია – 36; 51

**ხ**

ხუნდაძე სიმონ – 28<sub>x2</sub>  
 ხურცილავა ს. – 52  
 ხუციშვილი სოლომონ – 17; 25; 26<sub>x2</sub>

**ჯ**

ჯავახიშვილი გ. – 12  
 ჯიბლაძე გიორგი – 50<sub>x2</sub>  
 ჯიმშერიძე – 28  
 ჯუსტი – 37

**ჰ**

ჰეინე – 31  
 ჰიუგო ვიქტორ – 10<sub>x2</sub>; 53<sub>x2</sub>